№ 13

1877—1905

№ 13

სამშაბათი, 1 მარტი

სამშაბათი, 1 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

მარიამ გრიგოლის ასული ძნელაძისა, გრიგოლ, თამარ, ლუარსაბ და ლევან ძნელაძეები, ნინო ძნელაძისა შვილებით, ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა, ნინო გრიგოლის ასული აბაშიძისა, სვიმონ, ანასტასია, ალექსანდრე, ანდრია და ელისაბედ კლდიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქალაქ ოზურგეთში პირველი საყვარელ მეუღლისას, მეორენი—ძვირფას მამისას, მესამე—შვილისას და მეოთხენი—სიძისას, ექიმ

მიხეილ გრიგოლის ძის ძნელაძისას.

გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1 6—1

918

2 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქვაშვეთ ს წმიდა გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქნება **პანაშვიდი მუკდენის ბრძოლაში მოკლულის** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრის პოლკოვნიკის

თავ. ვლადიმერ გაბრიელის ძის მაყაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ბანკის გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს გარდაცვალებულის პატივის მცემლებს და ნაცნობებს. 2—6—1

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5-დან საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

გაჩეჩილაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—7 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ე რ თ ო ბ ა.

დარწმუნებული ვართ, ყოველი შეგნებული ქართველი სიამოვნებით წაიკითხავდა სომეხ არქიმანდრიტთა წერილს, რომელიც ამ სამის დღის წინად დაიბეჭდა გაზ. «ცნობ. ფურცელ»-ში. ეს ისეთი საგულისხმიერო წერილია, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან იგი აღუნიშვნელად დავტოვოთ და მას ჩვენი მკითხველების ყურადღება არ მივაქციოთ.

სომეხ არქიმანდრიტთა კრება მადლობას აცხადებს იმ გულითად თანაგრძნობისა და ძმურ ურთიერთობის ქადაგებისათვის, რომელიც გამოიხატა ქართულ პრესსაში წინად და ეხლაც, როცა სამარცხვინო ბრძოლა და სისხლის ღვრა მოხდა ბაქოსა და ერევანში. «ამ თანაგრძნობამ,—სწერენ სომეხთა სასულიერო პირნი,—უმეტესად გაალვივა ჩვენს გულში ორი ათასის წლის ძმობა და სიყვარული, რომლის გაქრობას ბევრჯელ ცდილან ჩვენს წარსულსა და ახალს ცხოვრებაში. დარწმუნებულნი ვართ, რომ საუკუნოდ განვლო უბედურმა და ბნელმა დროებამ, და დიდი ხანია დაწყნდა ის წყალი, რომლის ამღვრევა მუდამ სანატრელი იყო მეთევზისათვის. მართალია, ეხლაც აამღვრიეს მეთევზეებმა ეს წყალი კასპიის ნაპირებში, მაგრამ ნათქვამია: „ვიდრე წყალი არ აიმღვრეს, იგი არ დაწყნდებაო“. დარწმუნებულნი ვართ, რომ ბაქოში უბრალოდ ამოჟლეტილ და აკუწულ ბავშვების სისხლი გვიმტკიცებს და დამწვარ უმანკო პირების ალი გვინათებს იმ გზას, რომელსაც ძმობა და ერთობა ეწოდება სახელად. „გიყვარდეთ ერთმანეთიო“,—ამას გვასწავლიდა უფალი, მაგრამ ჩვენ, რომელნიც ბუნებამ და ბედმა შეგვაერთა, არამც თუ მხოლოდ სიყვარული გვევალება, არამედ თავ-განწირულება ერთმანეთისა და მამულისათვის. ვფიცავთ უბრალოდ დაღვრილს უმანკო სისხლს, რომ ძმობა და ერთგულება იქნება ჩვენის შრომისა და ქადაგების მიზანი და ვეცდებით, რომ ვერა ბნელმა ძალამ ვერ შესძლოს მისი დარღვევა“.

ეს ისეთი კეთილშობილური, ისეთი საიმედო სიტყვებია, რომ ჩვენ სულით და გულით ვისურვებთ მათს განხორციელებას და ცხოვრებაში რეალურის სახით დანახვას. იმ უმსგავსო ბრძოლამ, რომელმაც მრავალი სომეხი და თათარი იმსხვერპლა ბაქოსა და ერევანში, ცხადად დაგვანახვა, თუ რაგვარ ბარბაროსობამდის შეიძლება მივიდეს ეროვნული სიძულვილი და ქიშპობა. კავკასიაში, სადაც რამდენიმე ხალხი ერთმანეთში და ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს, შეუძლებელია ერთად მოთავსება და ადამიანურად არსებობა, თუ ერთი ერი მეორეს პატივისცემით არ მოეპყრა, მხოლოდ თავის ხალხოსნურ „მე-სა“ და სარგებლობაზე იზრუნა და სხვისი ინტერესები უარჰყო და ფეხით გათელა. მაშინ თავს იჩენს ისეთი შემაძრწუნებელი შავ-ბნელი ფაქტი, როგორც ამ უკანასკნელ ხანებში წარმოსდგა და რომელიც მთელი ჩვენი მხარესთვის სასირცხო და სახელის გამტეხია.

რასაკვირველია, კავკასიის სხვადასხვა ხალხების ინტერესები ყველგან და ყველაფერში ერთნაირი და შეთანხმებული არაა, მაგრამ ნუ თუ ეს შეუთანხმებლობა თოფის სროლითა და ხანჯლის ტრიალით უნდა გამოიხატოს და საქვეყნოდ მოედანზე გამოიფინოს? ნუ თუ ქართველმა, აქაო და საქართველოში სომხობამ დიდი ეკონომიური ძალა შეიძინაო, თოფს უნდა მოავლოს ხელი და ტყვია-წამლით იწყოს მათთან ბრძოლა? ნუ თუ მაჰმადიანი, რომელიც, როგორც ყოველი მორწმუნე, თავის რჯულს სთვლის საუკეთესოდ, ხანჯლით უნდა ეცადოს თავის სარწმუნოების გავრცელებას? ნუ თუ იმ აზრით, რომ მე გავბატონდეო, უნდა ვიწყოთ ერთმანეთის ხოცვა და ჟლეტა? ეს ხომ ერთმანეთის განადგურება იქნება და არა ნაყოფიერი კულტურული საქმიანობა. იგი შეჰფერის ველურ ხალხებს, რომელნიც ვერ გამოშორებიან მხეცურ არსებობის საფეხურს და განვითარების მხრით მაღლა ვერ აწეულან.

ზოგიერთი საწინააღმდეგო ინტერესები არა თუ სხვადასხვა ერებს შორის, ერთ და იმავე ერშიაც არსებობს, მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს, რომ კლასობრივი ბრძოლა თოფისა და ზარბაზნის საშუალებით უნდა გავსწიოთ. ეროვნულ უთანხმოების გამოხატვა ისეთის ბარბაროსულ საშუალებით, ამტკიცებს თუ რაოდენ მცირედ არის ჯერ კიდევ კავკასიაში მაღალი საკაცობრიო იდეები გავრცელებული და ფაქიზი კულტურული ზნე-ჩვეულება შეთვისებული.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა საკითხისა. ზოგიერთ მოწინააღმდეგე ინტერესების აღნიშვნა არ ნიშნავს კიდევ იმას, რომ კავკასიის ხალხები ყველაფერში ერთმანეთისაგან ვართ დაშორებულნი და ჩვენ საერთო, ყველასთვის საჭირო და სასარგებლო საქმეები არა გვაქვს საკეთებელი. „საერთო ნიადაგი“ კავკასიის ყველა ერთათვის ფრიად ფართო და ნაყოფიერია; სამკალი ძალიან დიდია, მხოლოდ საჭიროა ამის დანახვა და შეთანხმებულად მოქმედება.

ჩვენ ყოველ დღე გვექნება შემთხვევა ეროვნულ ერთობის საკითხს შევეხოთ და საერთო მოქმედების ნიადაგს სხვადასხვა მხრით შევხედოთ. აქ კი განმეორებით გვინდა ჩვენი სიამოვნება და კმაყოფილება გამოვთქვათ იმ კეთილ და სასარგებლო სიტყვების გამო, რომელიც სომხეთა სასულიერო პირებმა გამოსთქვეს ქართულ გაზეთში. ყოველგვარ ქადაგებას და, მაშასადამე, სიყვარულისა და ერთობის ქადაგებასაც მხოლოდ მაშინ შეიძლება მოჰყვეს სასურველი ნაყოფი, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ხელს უწყობენ მის განხორციელებას. კავკასიის ხალხთა ცხოვრება ნამდვილად ისეთ ვითარებაშია, რომ აქ ერთა დაკავშირება და სოლიდარობა შესაძლებელია და ნაყოფიერიც იქნება.

სომხეთა არქიმანდრიტებმა გამოსთქვეს გულწრფელი სურვილი ეროვნულ დაახლოვებისა და ერთობისა, რომელსაც ჩვენც ვუერთდებით და სიხარულით ვემხრობით. მაშ საჭიროა ეხლა საქმეს შევუდგეთ და ამ სასარგებლო სურვილს პრაქტიკული გამოხატულება მივსცეთ.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

27 თებერვალი.

სტამბოლი, 27 თებერვალი. ამ წინაზე დანიშნულ სათემო ჯარის უფროსთა ბეჯით ღონისძიებათა მეოხებით, მაკედონელ მეამბოხეთა წინააღმდეგ მოქმედება ეხლა უფრო კარგად მიდის, ვიდრე წინად. მაინც ხანდიხან ჯარის კაცნი სისასტიკეს მიჰმართავენ ხოლმე. სამოქალაქო აგენტების მოთხოვნილებით, გენერალ-ინსპექტორმა დანიშნა კომისია ამგვარ მოქმედებათა გამოსაძიებლად. ის ხმა, ვითომც რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა პასუხი გასცეს ოსმალეთის მიერ მაკედონიისათვის შედგენილ სარეფორმო კონტრ-პროექტსო, ტყუილია. ოსმალეთს განზრახვა აქვს, შემოტანილ საქონელზე ბაჟი გაადიდოს და დიდ სახელმწიფოებს მხოლოდ ამ საგანზე აქვთ მოლაპარაკება. ბულგარიამ პორტას წარუდგინა ქაღალდი; ამ ქაღალდით იგი დიდ ბრალსა სდებს სოფ. კულოშთან, სტრუმიცის ოლქში, გასულ თვეში მომხდარ შეტაკების დროს ოსმალეთის ჯარების თავხედურ საქციელისათვის. იუწყებიან, იემენში საქმეთა მდგომარეობა გაუმჯობესდაო. მეამბოხენი საანს ხელახლა ემუქრებიან.

კიევი, 27 თებ. ხოლერის მოდოდინში კიევის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტთან ექიმთათვის უფასო კურსებს აარსებენ.

მოსკოვი, 27 თებ. მუკდენის ბრძოლის გამო დიდძალი შემოწირულება მოსდის საზოგადო საერთობო ორგანიზაციას დაჭრილთა და ავადმყოფ ჯარის კაცთა დასახმარებლად.

კიევი, 27 თებ. ჩვეულებრივმა ბაზრობამ (იარმარკამ) ცუდად ჩაიარა. ხმა დადიოდა, რომ ჩერნიგოვის და კურსკის გუბერნიის გლეხებს შორის მღელვარებააო. ბევრი სავაჭროდ ჩამოსული უკანვე დაბრუნდა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

ტოკიო, 27 თებ. ოიამასაგან მოხსენება მოვიდა, 30,000-ზე მეტია რუსი ტყვედ წამოყვანილიო. იაპონელთა ზარალი 41,000 კაცამდე ადის. გუშინ პუხესთანაც იაპონელებმა უკან მიმავალი რუსების რაზმი დაატყვევეს.

პარიზი, 27 თებ. „ეკო-დე-პარი“ დარწმუნებულია, რომ თუ რუსეთმა რამდენიმე წელიწადი განაგრძო ომი, იაპონიას დაასუსტებს, მაგრამ რადგანაც მსხვერპლი უფრო აღემატება ნაყოფს, რუსეთს ურჩევნია, მუკდენის დაკარგვის შემდეგ ზავის ჩამოგდებას შეეცადოსო. იმავე გაზეთში დაბეჭდილია აზრი ადმირალ დუბასოვისა, რომელსაც უთქვამს, შეუძლებელია ზავის ჩამოგდება, ვიდრე რუსეთი არ გაიმარჯვებსო.

ტოკიო, 27 თებ. ოიამას მოხსენებით იაპონელები გუშინდამ ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე გადასულან, რუსები გაუდევნიათ, აქედამ ჩრდილოეთით 13 მილი გაუვლიათ და მუკდენის მიდამოებიდანაც გაურეკიათ რუსები. დანარჩენი რუსები კიდევ გეიწევენ წინააღმდეგობას. მუკდენში მრავლადაა დატოვებული მოკლული, დაჭრილი და დატყვევებული რუსი. დატოვებულია სურსათი, ჯარის ტანსაცმელი და სხვა მასალა გორაკებადაა დაგროვილი. ფოლადის რელსებით დატვირთული ინგლისელი გემი „საქსონ პრინცი“ იაპონელებმა შეიპყრეს.

პეტერბურგი, 27 თებ. უქვეშევრდ. მოხსენება გენ. კუროპატკინისა 26 თებ. თარიღით: «დღეს მტერმა მხოლოდ ციმბის მესამე კორპუსის უკანა ჯარს დაუწყო სატევი მოქმედება. პირველი ლაშქარი, რომელიც ყველა ჯარებზე წინ იყო წამოწეული, საყოველთაოდ დანიშნულ პოზიციებისაკენ იხევს. მესამე ლაშქრის სარდალი იუწყება, რომ მისი უკანა ჯარი მანდარინის გზასთან იდგა პოზიციებზე, ტელინიდამ 25 ვერსის მოშორებით. ამ უკანა ჯარის პირდაპირ იაპონელთა მცირე, უფრო ცხენოსანი, ჯარი მოსჩანდა. თებერვლის 13-იდამ 26-ამდე 1190 აფიცერი და 46391 დაჭრილი სალდათი გამოვიყვანეთ ბრძოლის ველიდან.

(დამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბრძოლა მუკდენთან. ამისთანა საშინელი და მედგარი ბრძოლა მთელ მსოფლიო ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება. აქ მუკდენის მიდამოებში ორი ერი—800000 კაცი და 3000-მდე ზარბაზანი შეება ერთმანეთს და ორი კვირის განმავლობაში დღე და ღამ განუწყვეტელი სისხლი იღვროდა. ორ კვირას 100000-ზე მეტი ახალგაზრდა გამოესალმა წუთისოფელს, დასახიჩრდა და მშრომელ ხალხის ოფლითა და ვაივაგლახით მონაგარი მილიონები დაიღუპა. ამას კი ბოლო არ უჩანს. რუსებიცა და იაპონლებიც დაჟინებით გაიძახიან, სანამ ჩვენს მიზანს არ მივაღწევთ, იარაღს არ დავყრითო. რუსებს უნდათ, რომ იაპონელები დაამარცხონ, გაანადგურონ და ისეთი დღე დააყენონ, რომ რუსეთის წინააღმდეგ მეორედ ხმლის ამოღება არ გაბედონ. იაპონელები მტკიცედ ამბობენ, სანამ რუსეთს მანჯურიიდან არ გავდევნით, ვლადივოსტოკს არ ავიღებთ და სახალინს არ წავართმევთ, ომზე ხელს არ ავიღებთო. დღემდე იაპონელებმა და რუსებმა ომის ღმერთს საერთოდ 600000-ზე მეტი კაცი მსხვერპლად შესწირეს და ამბობენ, ეს რა არის, უმთავრესი მერე იქნებაო.

მუკდენის ბრძოლის ბედი გენ. ნოგის ჯარმა გადასწყვიტა. გენ. კუროპატკინმა გვიან გაიგო, თუ საიდან მოელოდა საფრთხე და საჩქაროდ დასავლეთისკენ გაქანდა, მაგრამ გვიანღა იყო: გენ. ნოგიმ ოთხი დღის ბრძოლის შემდეგ გენ. კუროპატკინი უკუაქცია, მუკდენი აიღო და საჩქაროდ ჩრდილოეთისკენ გაემართა. კუროპატკინს ერთი დღითაც რომ დაეგვიანა, მთელი იმისი ჯარი უეჭველად ხაფანგში გაებმოდა, მაგრამ უკანდახევის ბრძანება დროზე გასცა და თავის ჯარის უმეტესი ნაწილი ტყვეობიდან იხსნა. უკან მომავალ კუროპატკინს იაპონლები სამი მხრიდან გამოედევნენ: სამხრეთიდან (ნოძუ და ოკუ), აღმოსავლეთიდან (კუროკი) და დასავლეთიდან (ნოგი). 26 თებერვალს ღამე მეორე ლაშქარმა (კაულბარსისამ) სადგურ ხუშიტაისთან (მუკდენსა და ტელინს შუაა) გაათენა და მეორე დღეს გათენებისას ასევე დაიძრა და ტელინისკენ წავიდა. ტელინისკენ მიმავალ ჯარს ეს ლაშქარი მიუძღოდა წინ. 26 თებერვალს, როგორც გენ. კუროპატკინი იუწყება, იაპონლები მესამე კორპუსის არიერგარდს აწვებოდნენ. მეორე ლაშქარს პირველი ლაშქარი მისდევს (გენ. ბილდერლინგისა), ყველაზე უკან მესამე ლაშქარი მიდის (გენ ლინევიჩისა). გენ კუროპატკინი იუწყება, მესამე ლაშქარს 26 თებერვალს იაპონელთა მეზვერავი ცხენოსნები მოსდევდნენო. მარშალი ოიამა კი იტყობინება, 26 თებერვალს სადგურ პუხესთან რუსების ერთი კალონა (რაზმი) დავატყვევეთო. რამდენ კაცისგან შესდგება ეს რაზმი, ამაზე ჯერ ჯერობით არაფერია ნათქვამი.

26 თებერვალს რუსეთის ჯარის უკანა რაზმი ტელინე 25 ვერსზე მიუახლოვდა (რ. ვ).

რუსებისა და იაპონელთა ზარალი მუკდენის ბრძოლის დროს. გენ. კუროპატკინი იუწყება: 16 თებერვლიდან 26-მდე ბრძოლის ველიდან ჩრდილოეთისკენ 1,190 დაჭრილი აფიცერი და 46,391 ჯარის კაცი გავგზავნეთო. 26 თებერვლამდე იაპონელებს დაუჭრიათ 48,000-მდე რუსი. მოკლულთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ, თუ ეხლაც მოკლულთა რიცხვი საერთო ზარალის იმდენსავე პროცენტს შეადგენდა, რამდენიც შახესა და ლიაოიანთან იყო, ამ ბრძოლაში რუსებისთვის უნდა მოეკლათ არა ნაკლებ 12,000 კაცისა. მაშასადამე 26 თებერვლამდე (ამ დღეს ბრძოლა ჯერ შეწყვეტილი არ იყო) იაპონელებმა რუსებს დაუჭრეს და მოუკლეს 60,000 კაცი. 26 თებერვალს მარშალი ოიამა ტოკიოში ატყობინებდა, დღემდე 30,000 ზე მეტი რუსი დავატყვევეთო. ოფიციალურ ცნობებიდან გამოდის, რომ რუსების ზარალი 26 თებევლამდე 90,000 კაცს შეადგენდა. მაგრამ რუსების ზარალი ამით არ თავდება. ოიამა იუწყება, 26 თებერვალს რუსების მთელი რაზმი ჩავიგდეთ ხელში და ბრძოლაც არ გათავებულაო. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მუკდენის ბრძოლა რუსებს 100,000 კაცზე მეტი დაუჯდათ.

ტოკიოდან ოფიციალურად იუწყებიან: 26 თებერვლამდე იაპონელებს 41,000 მოუკლეს და დაუჭრესო (რ.).

იაპონელების დავლა მუკდენის ბრძოლის დროს. იაპონელებმა ამ ბრძოლის დროს აუარებელი დავლა ჩაიგდეს ხელში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მდინარე შახეზე მთლად რუსეთის ჯარი (500,000-მდე კაცი) მუკდენიდან იკვებებოდა. სურსათი, იარაღი, სამხედრო მასალა და ყოველივე საჭირო ნივთი მუკდენიდან მიდიოდა. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენი საქონელი უნდა ჰქონდეს რუსებს მუკდენში. ტოკიოდან იუწყებოდნენ, ამ დავლის დასათვლელად იაპონელებს ჯერ ვერ მოუცლიათო. მარშალი ოიამა იტყობინება, რუსებმა მუკდენში აუარებელი დავლა დაგვიტოვეს. სურსათ-სანოვაგე, იარაღი, სამხედრო მასალა და ყოველგვარი საქონელი გორებივით აწყვია. გარდა ამისა, მუკდენში დარჩა მრავალი მოკლული, დაჭრილი და ჯანსაღი ჯარის კაცი.

სამიოდე დღის წინად იაპონელები იუწყებოდნენ, რუსებს ასამდე საალყე ზარბაზანი წავართვითო. ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის იაპონელებმა რამდენი საბარო და სამთო ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ 30,000 დატყვევებულ რუსსთან 200-მდე ზარბაზანი უნდა ჰქონოდა. გარდა ამისა, რუსებს მუკდენში უეჭველად ეყოლებოდათ სარეზერვო არტილერია. თუ ეს ზარბაზნებიც ოიამამ ჩაიგდო ხელში, მაშინ იაპონელებს რუსებისთვის რამდენიმე ასი ზარბაზანი წაურთმევიათ. (რ. ვ.).

შესაძლებელია თუ არა ზავი. აქამდის ბევრი დარწმუნებული იყო, რომ მუკდენის ბრძოლის შემდეგ იაპონია და რუსეთი უეჭველად შერიგდებიანო. მართლაცა და მაშინ ზავის ჩამოგდება შეუძლებელი იყო, ანუ, უკედ რომ ვთქვათ, რუსეთი ზავის ჩამოგდებას არასგზით არ დასთანხმდებოდა, რადგან მდინარე შახესთან რუსეთმა ნახევარ მილიონ კაცს მოუყარა თავი და გამარჯვების იმედიც ჰქონდა. რუსეთი ფიქრობდა მომავალ ბრძოლაში გავიმარჯვებ, ჩემს შელახულ სახელს აღვადგენ და ზავზედაც მერე ვილაპარაკებო. მაგრამ ომის ბედმა რუსეთს აქაც უმტყუნა და რუსეთის ურიცხვი ჯარი (ამოდენა ჯარი ბრძოლის ველზე არც ერთ სარდალს არ მოუგროვებია) ისეთ ნაირად დამარცხდა, რომ ვაფანგოუც დაავიწყდა, პორტ-არტურიც, იალუც, ლიაოიანიცა და ინკაიც. რუსეთმა ეს ძალიან იტკიცა, გაბრაზდა დგ მტკიცედ აცხადებს, რომ სანამ არ გავიმარჯვებ, იარაღს არ დავყრიო.

«ეკო დე-პარი»-ს თანამშრომელს ადმირალ დუბასოვისთვის უკითხავს, შესაძლებელია თუ არა ეხლა ზავიო. დუბაშოვს გადაჭრით უთქვამს, სანამ რუსეთი არ გაიმარჯვებს, ზავზე ხმასაც არ ამოიღებსო.

ვაშინგტონში რუსეთის ელჩმა კასინიმ გადაწყვეტით განაცხადა, მუკდენის დამარცხებას რუსეთი იაპონიას იმით გასცემს პასუხს, რომ გენ. კუროპატკინს ახალ-ახალ ჯარს მიაშველებს, მშვიდობიანობაზე კი კრინტსაც არ დასძრავსო.

კასინის საპასუხოდ იაპონიის ელჩმა ტაკახირამ იმავე ვაშინგტონში განაცხადა, სანამ რუსეთი თვითონ არ მოითხოვს ზავს, იაპონია მუკდენთან გამარჯვების შემდეგაც განაგრძობს ომსა და შემდეგშიაც ისე იმოქმედებს, როგორც დღემდე მოქმედებდა.

მაშ ესე: ზავი ჯერ შორსაა და მანჯურიაში შემდეგშიაც იმოდენივე სისხლი უნდა დაიღვაროს (უფრო მეტიც), რაც დღემდის დაიღვარა (რ. ვ.).

კორესპოდენტების დეპეშები. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპოდენტი დეპეშით იუწყება: უშველებელი ველი მოკლულთა გვამებით არის სავსე. ჩვენ სეტყვასავით ვუშენთ ტყვია-ყუმბარას, მაგრამ მარშალ ოკუს რკინის ჯარს (რუსები მარშალს ოკუს რკინის სარდალს ეძახიან, იმის ლაშქარს—რკინის ჯარს) ვერაფერი აფერხებს: მოკლულთა და დაჭრილთ სთელავენ, რაც კი წინ უდგება, ანადგურებენ, ზღვის ტალღასავით მოგორავენ და ვაი იმას, ვინც გაბედავს და გზაზე გადაეღობება. ტყვია სეტყვასავით დავაყარეთ, მაგრამ იაპონელები მაინც მოგვიახლოვდნენ, სანგრებამდე მოახწიეს და კატებივით მოცოცავდნენ. მერე ერთად დაიძრნენ, იგრიალეს, გრიგალივით წამოვიდნენ და გამარჯვების ყიჟინა დასცეს. ჩვენი სანგარი გემსა ჰგავს: აი, საცაა აღფრთოვანებულ იაპონელთა ტალღა დაჰკრავს და შთანთქავს. აგერ, იაპონელთა ტალღაც მოგვიახლოვდა, აბობოქრდა, აქაფდა, გვეცა და... ყველაფერი ერთმანეთში აირია... ჩვენი გემი ჩაიძირა. ტალღა კი მაინც არ ჩერდება, მედგრად წინ მოიწევს და ყველაფერს, რაც კი გაბედავს და წინ აღუდგება, ჰქელავს, ანგრევს, ანადგურებს და ისევ და ისევ წინ მოიწევს. ვინც გადავრჩით, მეორე გორაზე გადავედით, სხვებიც მოგვეშველნენ, მაგრამ იაპონელთა ტალღამ არც აქ მოგვასვენა, მთის კენწერომდე მოახწია, ჯერ ცოტა ხანს შედგა, გაჩუმდა, თითქო სახტომად ემზადებაო, და... გადმოხტა კიდევაც. ეს ნახტომი საშინელება რამ იყო. იაპონელები პირდაპირ ხიშტებით დაგვერივნენ: ერთ წუთს საერთო ღრიალი გაისმა. იაპონელები თხრილებში შემოცვივდნენ და გააფთრებულნი გვეცნენ! აქა-იქ, რამდენსამე ალაგას კვნესა და ყვირილი გაისმა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ამ პოზიციაზე ამომავალ მზის ქვეყნის ბაირაღი ფრიალებდა. (ნ. ვ.).

„რუს. სლოვოს“ კორესპონდენტი გარინი იუწყება: 21 თებერვალს ჩვენ ყველგან გავიმარჯვეთ. სწორედ ამ დღეს, ე. ი. 21 თებერვალს, ღამე რუსები დაიძრნენ და ნელ-ნელა უკან დახევა დაიწყეს.

ამავე გაზეთის მეორე კორესპონდენტი იუწყება: 21 თებერვალს იაპონელებმა მუკდენში პროკლამაციები გაავრცელეს. ამ პროკლამაციებში ეწერა, 25 თებერვალს მუკდენს ავიღებთო. იაპონელებმა მართლა 25 თებერვალს აიღეს მუკდენი (რ. ს.).

ახალი ამბავი

✦ სემინარიის მთავრობას განკარგულება მოსვლია ტფილისის სასულიერო სემინარიის **მოსწავლეთა მოთხოვნილებანი არ იქმნეს დაკმაყოფილებული.** ამ დღეებშივე ორ ქართველს, მათ შორის ერთს სასულიერო პირს, გუბერნატორისათვის უთხოვნია, **სემინარიაში სწავლა განახლდესო.** თხოვნას უნაყოფოდ ჩაუვლია.

✦ გუშინ ქალაქის მცხოვრებმა არუთინ სააკოვმა განუცხადა ტფილისის მოურავს, რომ 27 თებერვალს, დილის 7 საათზე მე-2 პოლიციის ნაწილის სადგომის ახლო მივდიოდი. **გზაში დამხვდა სამი ცხენოსანი ყაზახი.** ერთმა მათგანმა დამიწყო უშვერი ლანძღვა და ხანჯალი მომიღერაო. ხანჯალი ჯოხით მოვიგერე. ამ დროს ცხენი დაფრთხა და პოლიციის სადგომში მოვასწარ შევარდნაო. იქ მყოფი უბნის ზედამხედველი უზრდელად დამიხვდა და მითხრა: წადი დიდ უფროსებთან იჩივლე, მე ოქმს ვერ შევადგენო.

ქალაქის მოურავმაც ურჩია სააკოვს, გუბერნატორს მიმართეთო.

✦ **ტფილისის დურგალთა ერთ ჯგუფს** შეუდგენია განცხადება დურგალთა **გამგეობისათვის** გადასაცემად. თხოულობენ, **დურგალთა არა ჩვეულებრივი კრების დანიშვნას** თანამედროვე მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლად.

✦ შაბათს, 26 თებერვალს, ტფილისის საკრებულო დარბაზში, ქ-ნ პაპაიანის მონაწილეობით **გამართულ იქმნა კონცერტი** ტფილისის იაფ სახაიების სასარგებლოდ. შემოსავლის 20% ბაქოში დაზარალებულთა დასახმარებლად გაიგზავნება. კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. საერთო შემოსავალი 800 მან. აღემატებოდა.

✦ მამა-დავითის მთაზე **ფუნიკულერის ამყვანმა საზოგადოებამ** აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ფუნიკულერი სრულიად მზად არის და დღეს, 1 მარტს, დაიწყებს წესიერს მიმოსვლასაო.

ქალაქის თავი სთხოვს ტფილისის ფუნიკულერის საზოგადოებას, წარმომიდგინეთ პროექტი და მიმართულება იმ რკინის გზისა, რომელიც საზოგადოებას სურს ერევნის მოედნიდან მამა-დავითის მთის ძირამდე გაიყვანოსო.

✦ **რადგანაც ტფილისში წითელაა გავრცელებული,** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას ახლავე გაიხსნას ერთერთი თავისუფალი საავადმყოფო. გამგეობამ ექიმის თხოვნა შეიწყნარა.

✦ როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, 6 თებერვალს პეტერბურგში, პავლოვის დარბაზში, პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებმა გამართეს **ქართული საოპერო წარმოდგენა.** სიმღერის მოყვარულთა მონაწილეობით. წარმოადგინეს ან. რუბინშტეინის ოპერა „დემონი“. ამ ოპერის ლიბრეტო ქართულად გადმოთარგმნა ბ-ნ კლდიამ, გაზ. «რუსი»-ს სიტყვით, ოპერას კარგად ჩაუვლია, თუმცა საზოგადოება კი ნაკლებად დასწრებია, რადგანაც საზოგადოება ნდობით არ ეკიდება სცენის მოყვარულთა საოპერო წარმოდგენასაო. ორკესტრი ქართულ ოპერისთვის დაუთმია თავ. ა. ა. წერეთელს (აკაკის შვილს). როლები ასე ყოფილა განაწილებული: თავ. გუდალი—ბ-ნი ივანოვი; თამარ—ქ-ნი ეგ. სარაჯიშვილისა, თავ. სინოდალი—ბ-ნი გიგო; მოხუცი მსახური—ბ-ნი ა. გ. სარაჯიშვილი; გამდელი—ქ-ნი მ. პ. არლანი; ანგელოზი—ქ-ნი ა. ს. გორუჩავა; დემონი—ბ-ნი დ. კ. გედევანიშვილი და მდევარი—ბ-ნი პიმენოვი. რუსის რეცენზენტი აქებს ბ-ნ გედევანიშვილსა და ქ-ნ ე. გ. სარაჯიშვილს, როგორც ხმით, ისე თამაშობითაც.

✦ **სურამიდან** გვწერენ: 27 თებერვალს მართლმადიდებელთა ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი **ბაქოში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლთა** სულის მოსახსენებლად. ეკკლესიის გალავანში დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ ებრაელნი და სომეხნი. წარმოითქვა სიტყვები.

✦ ტფილისის ქალაქის მოურავმა ქ. ვერმიშევმა ქ. ნახიჩევანის წარმომადგენელთაგან **შემდეგი დეპეშა მიიღო:** „23-ს თებერვალს მეჩეთს, და სომხის საყდრებში აუარებელ მლოცველების თანა დასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ბაქოში დაღუპულთა სულის მოსახსენებლად. წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე გრძნობიერი სიტყვა. ნახიჩევანსა, და სოფლებში სრული მყუდროებაა.

✦ **გუშინ ქალაქის** გამგეობამ **ინჟენერი ქურდიანი როსტოვში** გაჰგზავნა თუჯის მილების ჩასაბარებლად. მილები დაუმზადებია პახტუროვის ქარხანას.

✦ დღეს, 1 მარტს, **სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში** დანიშნულია საბჭოს **სხდომა** მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ რედაქციამ მიიღო **ახალი ქართული წიგნი** „დილარიანი“, თხზ. პეტრე ლარაძისა, გამოცემა მართა ივანე ლარაძის ასულის კნ. შალიკაშვილისა. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 794+XXXV გვ. წიგნს დართული აქვს თავში ივანე ლარაძის სურათი და შემდეგ დაბეჭდილია მღვდ. ზაქარია ჭულისაშვილის წინასიტყვაობა (VII გვ.), სუფთადაა დაბეჭდილი. ფასი—ერთი მანეთი.

✦ კვირას, 27 თებერვალს, ტფილისის **გუბერნატორი სვეჩინი** სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს წავიდა. მის თანამდებობას ასრულებს **ვიცე-გუბერნატორი ალიშევსკი.**

✦ 25 თებერვალს საარტისტო საზოგადოების თეატრში კ. ლ. არდაზიანს **ჯიბიდან ამოაცალეს ოქროს საათი,** 60 მან. ღირებული. იმავე დღეს, იმავე თეატრის შესავალში ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრს ა. კ. კოლოკოლოვს ჯიბიდან ამოაცალეს ფულის ქისა, რომელშიაც 50 მან. იყო.

✦ 26 თებერვალს, ღამე, დესიმონოვის ქუჩაზე, ალხაზოვის სახლებში **უეცრად გარდაიცვალა** ტფილისის მცხოვრები შახვერდ, სტეფანეს ძე შახვერდოვი. გვამი საანატომიო თეატრში წაიღეს.

სადღეისო

ფიქრი, სულ ფიქრი...

ძალიან გაჯავრებულა ჩემი მეგობარი ფიქრიანიძე და ძალიან ცხარე წერილიც მოუწერია ჩემთვის: რას ფიქრობთ, რას აკეთებთ?—მეკითხება: ნუ თუ ჩვენ კი არ გვმართებს ფიქრი ჩვენს ყოფა-მდგომარეობაზე დღეს, ამჟამად? საით წავიდეთ? რა გზას დავადგეთ, რა საქმეს მოვკიდოთ ხელი, რომ გავიმარჯოთ და არ დავმარცხდეთო? დალოცვილებო, დაგიკრებიათ გულ-ხელი, დაგიღიათ ხახები და მოელით მზა-მზარეულად ქადა-ნაზუქებს! მაცხოვრის სიტყვები მაინც მოიგონეთ: „ეძიებდეთ და ჰპოვებთო“. ყველანი: ერი, ბერი, მღვდელი, დიდი, პატარა, ურჯულო, რჯულიანი უნდა ვეძიებდეთო, უნდა მივისწრაფოდეთ ერთი მიზნისაკენ, ვინაიდან ყველას ერთი რამა გვაქვს საძიებელი. ძირს პარტიული განკერძოება და გაუმარჯოს შეერთებულს პარტიას, ერთის მისწრაფებით გამსჭვალულსო!

კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ეს კი აღარ კეთილი, რომ ჩვენი ფიქრიანიძე ამ რიხიანს ეპისტოლეს რომ იწერება, თვად რაღას აკეთებს!—არაფერს, თუ მე მკითხავთ. შემწყვდეულა სოფელში ერთს მიყრუებულ ადგილას. დილიდან შუადღემდე ბალღებს ასწავლის იმ დალოცვილი ახალ-მოდური პროგრამით. ნეტავი ეს პროგრამა მაინც მოსწონდეს! არც ის მოსწონს, კარგად იცის, რომ ამ პროგრამით განსწავლული ბოლოს უსწავლელი დარჩება, მაგრამ მაინც ასწავლის, რადგან უამისოდ ჯამაგირს არავინ მისცემს და ულუკმაპუროდ დარჩება. გული-გულში სულ ამას დუდუნებს: „ხუთი სული მაბარია შესანახი; მამულდედული მე არა მაქვს იმდენი, ისინი ვარჩინო, რა ვქნა, რომ არ ვიმსახურო? ჯამაგირი რომ მომისპონ, ხომ დავხოცე ეს ამოდენა ხალხი შიმშილით“.. არ მოსწონს სწავლების წესი თავის სკოლისა და მაინც ქოჩორს იგლეჯს, როცა გაიგონებს, გლეხებმა განაჩენი შეადგინეს სკოლის დაკეტაზეო. ჩვენი ხალხი განათლების მტერიაო, არ უყვარს სწავლაო. ფიქრიანიძემ ის როდი იცის, რომ გლეხებს სწავლა უყვართ, ხოლო არა ისეთი, როგორსაც მას აწვდიან, ხელში აჩვენებენ, ამ თავის რწმენას მოხელეს პირდაპირ არ უცხადებენ და სხვადასხვა გასამართლებელ საბუთებს ებღაუჭებიან.

დიაღ, ასწავლის ფიქრიანიძე ბალღებს დანიშნულ ვადამდე, შემდეგ წამოწვება გულ-აღმა ტახტზე, ალაგებს ფიქრს ფიქრზე, ოცნებას ოცნებაზე,—ადგენს პლანებსა და მერე ყველა ამას უზიარებს თავის ქალაქელ ნაცნობებს, რომელთაც თავიანთიც საკმაოდ მოეპოვებათ. ხოლო მდაბიო ხალხს არაფერს ეუბნება, უმალავს გულის პასუხს, თავის აზრებს,—რა არის, არავინ გაიგონოს, არავინ დამაბეზღოსო. ახლოს ყურები უცქვეტია „სტრაჟნიკებს“. ბოქაულიც, თუმცა ქართველი კაცია, მაგრამ ისიც ღმერთ-გამწყრალია. ფიქრიანიძემ ერთხელ იმაზე ადგილობრივ ერთს გაზეთში რაღაც კორესპონდენცია დასტამბა და, ცოტა არ იყოს, ბოქაულს „გაუხახუნა“. ფიქრიანიძე ამის შემდეგ ბოქაულისაგან უკმაყოფილების გამოცხადებას მოელოდა. მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო თავაზიანად მოეპყრა; სოფლის „კანცელარიის“ კარებზე მიეგება და ნაძალადევის ღიმილით ჩამოართვა ხელი:

— თქვენი წერილი წავიკითხე დაა, ნიჩევო! მხოლოდ გადაჭარბებას მოერიდეთ. მე, როგორც ქართველი კაცი, არ ვიკადრებ.. როგორ მე? მე ვიკადრო? და სხვ. და სხვ.

საუზმეზედაც კი მიიწვია ფიქრიანიძე. ბოქაულის ფიქრი, რასაკვირველია, ის იყო: ჯაჰნაბას ეს რაც დასწერა,—დასწერა, შემდეგში უარესი არ დასწეროსო, ამისთვის უქონია თავსა, ხოლო შურისძიება [illegible] ჰქონდა გულში შენახული. [illegible] ხანდახან ბოქაული ეწვევა კიდევაც და, მის ოთახში რომ შედის, მეძებარივით აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, საბილოს ხომ არას წავაწყდებიო, ხოლო არაფერსა ვნახავო... ფიქრიანიძეც უკან-უკან იხევს და ათასნაირს შხამსა და ნაღველს იკლავს გულში. გრძნობითა და ფიქრებით დატვირთული მძიმედ, ათიში ერთხელ ამოიყვირებს უენო, მუნჯს ქაღალდზე, გულს ამით იოხებს. ეს არის და ეს. ჩვენ კი ბევრს გვიკიჟინებს.

— აააჰ! რა კარგი იქნებოდა ფიქრიანიძის ფიქრები რომ ასრულებოდა უჯაფოდ, თავის თავად, მაგრამ მაგარი ის არის, თუ ფიქრს კაცმა მოქმედებაც არ მიადევნა, ნაფიქრი არ განახორციელა, არაფერი არ გამოვა. მოწიფულს ყანას ჯერ მომკა უნდა, შემდეგ კალოზე მიტანა, გალეწვა, მერე დაფქვა, ახლა გამოცხობა. მხოლოდ მაშინ და ხდება სარგოდ, სასარგებლოდ ადამიანის ნაღვაწი.

კიდევ მადლობა ღმერთს, ფიქრიანიძეებს ფიქრი მაინც უტრიალებთ თავში,—ფიქრი საქვეყნო, საყოველთაო. რა ვუყოთ, რო გაბედულობა აკლიათ. იმათზე ხომ მაინც მაღლა დგანან, ძროხებივით რომ მარტო გაძღომაზე ფიქრობენ; ამ წუთისოფელში მხოლოდ იმისთვის ცხოვრობენ გაუთენდეს დილა, ადგნენ, ჭამონ, სვან, ისიამოვნონ. დაღამდეს,—დაწვნენ და ასე ამგვარად იმ დრომდე, ვიდრე სამარის კარზე არ მიარახუნებენ იმათ კუბოს?

ფიქრიანიძეები მაინც და მაინც სჯობიან, მაინც მეტებია მუცელ-ღმერთა, თავისთვინა ადამიანებზე, რადგან ისინი ცოტას თუ ბევრს ნაყოფს გამოიღებენ, ფიქრიანიძე, ერთხელაც იქნება. წამოაყრანტალებს თავის ფიქრს და ეს ფიქრი, აზრი, იქნება, ჩაეწვეთოს ყურსა და გულში გონიერს, მხნეს, გაბედულს ადამიანს. ამ უკანასკნელის ნაღვაწში უსათუოდ პირველობა ფიქრიანიძეს ეკუთვნის. ფიქრიანიძე თუ სიცოცხლეს ვერ დასთმობს, თავს ვერ გასწირავს ფიქრისათვის, თუ მოეპოვება, ერთ-ორ შაურს მაინც არ დაზოგავს კეთილი საქმისათვის. რა გამოვა, ერთი თქვენ მიბრძანეთ, ღორ-მუცელა, თავისთვინაადამიანისაგან?—არაფერი. ცოცხალიც სხვისი ტვირთია, მოკვდება და მაშინაც სხვების სატირლად ხდება, არა როგორც ადამიანის გვამი, სხეული, არამედ როგორც მძორი. პირველს, რაც უნდა იყოს, თან დააქვს ადამიანობის მოწმობა და სამარეშიც ჩაჰყვება იგი, ხოლო მეორეს არავითარი კაცობის დამამტკიცებელი ნიშანი არ მოეძევება..

ოჰო, სად მინდოდა მისვლა და სად მოვედი?!. ასეა მუდამ: თუ საწერ-კალამს აჰყვა კაცი და ქაღალდიც არ გათავდა, ვინ იცის რა აზრების ორონტრიალი მოხდება!..

ვაჟა-ფშაველა.

ფელეტონი

ნაწყვეტი

მოკაშკაშე განთიადმა
ძირს ქვეყანას სხივი სტყორცნა
და დაჩაგრულ არე-მარეს
ჩაეხვია, გადაჰკოცნა!
ღამის წყვდიადს ზარი დასცა,
აუბნია გზა-და კვალი,
თვით მეფდება, აპრიალდა
მოიკიდა ცეცხლის ალი.
ტანჯულ ხალხის დროშა მაღლა
აფრიალდა, გაიშალა,
მტანჯველმა უნდა დაინახოს
ტანჯულმა დღეს თვისი ძალა!

ბ. პელაშვილი.

⁂

ჩუ, დაუგდეთ ამ ხმას ყური,
ხმას გაბედულს, ხმას გმირულსა,
ტანჯულ ხალხის გულიდანა
ამონახეთქს, ამართულსა!

—

ხალხი გრგვინავს და ბობოქრობს,
მძლავრად უცემს მკერდ ქვეშ გული,
იერიშით მიდის მტერზე..
ხედავთ, დადგა გაზაფხული!..

—

მეგობრებო, ამ მებრძოლ ხალხს
შევუერთდეთ, მივცეთ მხარი,
მათი ხვედრი ჩვენც ვიზიდოთ,
ტკბილი იყოს, თუ გინდ მწარი!...

მ. კორდელი.

გზა-და-გზა.

დღევანდელი რუსეთი.—ქართველი აზნაური.—მალოროსები.—ერევნის ამბები.—რა ესაჭიროება კავკასიას.

ირღვევა რუსეთში ძველი წესწყობილება, ძირი ეთხრება ბიუროკრატიის თავაღებულ ძალმომრეობას და თვითნებობას, რომელიც მძიმე ლოდივით აწევს საზოგადოებას და აფერხებს მის გონებრივ და ზნეობრივ ძალთა თავისუფალ განვითარებას.

დიდი და პატარა, ქალი, კაცი,—ყველა ერთხმად და მტკიცედ აღიარებს, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, რომ უნდა განახლდეს საზოგადოებრივი ცხოვრება კულტურისა და პროგრესის გასავითარებლად. ამასთანავე ყველა ღრმად დარწმუნებულია, რომ ავადმყოფ რუსეთის განკურნება შეუძლია მხოლოდ ძირითად ცვლილებებს, და არა პატარა-პატარა რეფორმებს, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ვერც ერთს შეგნებულ ადამიანს. ხანგრძლივი ძილის შემდეგ გამოიღვიძა ბუმბერაზმა რუსეთმა და თვალი გადაავლო თავის წარსულ ცხოვრებას, რომლის კრიტიკულად განხილვამაც დაანახვა მას თავისი ნამდვილი სულიერი ავლა-დიდება, ნამდვილი ფიზიონომია. რადგანაც რუსეთმა წარსულში სანუგეშო ვერაფერი ნახა, ის შეუდგა უკეთესის ძიებას, თავისუფლების განყენებულმა ცნებამ ხორცი შეისხა და შეიმოსა რეალურის ტანთ-საცმელით. ან სიკვდილი, ან სიცოცხლე,—აი დილემა, რომელიც წამოაყენა გადასაწყვეტად თანამედროვე ცხოვრებამ. რუსეთის საზოგადოებას წყურიან უკეთესი მომავალი, ის აჩქარებულის ნაბიჯით მიეშურება იმ მომავლისაკენ, და ვერავითარი რეპრესიული ღონისძიებანი ვერ შეაყენებს ამ სტიქიურს მისწრაფებას..

⁂

ასეთს ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც გაისმა მესამე ზარი, მატარებელი ნელა დაიძრა და გამოვიდა პლატფორმიდან. ვაგონი თითქმის ცარიელი იყო. მე ავიღე გაზეთი და დავიწყე კითხვა. „გამოფხიზლდა ადამიანი, ვკითხულობდი გაზეთში, და არავითარ ყიჟინს, არავითარ ძალას აღარ შეუძლიან მისი შეშინება და გაჩერება. ვისაც უგრძნია ერთხელვე სიტკბოება ბრძოლაში, ვისაც მოხვედრია თავისუფლების სუნი,—იმისი გაჩერება, უკან დახევა აღარ შეუძლიან არავის, ვინაიდან აღარ ისურვებს ასეთი ადამიანი ტბორეში ჩასვლას, ტალახში ჩაწოლას და ძილს, დაუსრულებელ ძილს ბაყაყების ყიყინზე... და ტბორეს ყველა ძალა რომ შეერთდეს და გამოვიდეს საბრძოლველად,—მაინც გამარჯვებული ადამიანი დარჩება. ბრძოლა! ბოლომდის ბრძოლა. ბრძოლა იმათთან, ვინც აღუნებდა ცხოვრებას, ვინც ჰქმნიდა მონობას და ხრწნიდა საზოგადო ცხოვრებას. და მოისპოს ყოველი უბედურება! რა კარგია სიცოცხლე, როდესაც ისმის გარშემო ბრძოლის ხმა, როცა იმსხვრევა ჯაჭვები და თავისუფლებისაკენ მისწრაფვის ადამიანი“.

— რას სწერენ გაზეთში?—დამეკითხა ერთი ქართლელი აზნაურიშვილი, რომელსაც გახუნებული ფაფახი თვალებზე ჩამოეფხატა და მარჯვენა ხელი უბეში ჩაედო.

— ბევრს რამეს,—ვუპასუხე მე და განვაგრძე გაზეთის კითხვა.

— გურიაში რა ამბებია?—შემეკითხა ხელმეორედ,—ამბობენ, დიდძალი ჯარი გაუგზავნიათო.

— ამბობენ,—მოკლედ ვუპასუხე, რადგანაც არც ლაპარაკის გუნებაზედ ვიყავი და მოლაპარაკის პიროვნებაც საეჭვოდ მივიღე.

— ყველას ამოჟლეტენ, ყველას ციმბირში ამოაყოფინებენ თავს,—მითხრა მეზობელმა, და სახეზე ბოროტმა ღიმილმა გაუთამაშა.

— რად უნდა ამოჟლიტონ? განა სამაგისო რა ჩაიდინეს გურულებმა?—დავეკითხე ჩემ წილად.

—აბა ერთი ჩვენკენ გაბედონ მაგისთანა რამე, აბა კრინტი დასძრან და რაღაც-რაღაც „საჭიროებებზე“ და «მოთხოვნილებებზე» დაიწყონ ლაპარაკი! მაშინ ჩვენ თვითონ გავუსწორდებით და ღირსეულად დავსჯით მეამბოხეთ. ვის უბედავენ ხმამაღლებელ ლაპარაკს? იქნება დაავიწყდათ, ვისთანა აქვთ საქმე?!

მე გაშტერებული შევყურებდი აზნაურიშვილს და ვფიქრობდი: რა სასიამოვნოა, ასე ნათლად რომ გამოირკვა მისი ზნეობრივი ფიზიონომია; რა სასიამოვნოა, რომ ხედავ მოპირდაპირეს მის ნამდვილ, და არა ქურქში გახვეულ სახით. აზნაურიშვილის ნალაპარაკევმა ერთი საბუთი კიდევ მომცა გასარკვევლად ამ სასტიკ ბრძოლისა, რომელიც გამართულია კლასთა შორის. ამ ლაპარაკმა უფრო დამაახლოვა ერის უმეტესობასთან.

მეორე ვაგონში გავედი... აღარ მინდოდა დარჩენა ჩემს მეზობელთან, რომელიც უშვერის სიტყვებით ლანძღავდა გურულებს და საერთოდ თავისუფალ მოქმედებას. მე გულგრილად ვეღარ ვუყურებდი მის ჩასისხლიანებულ, მხეცურ თვალებს.

„ბრძოლა იმათთან, ვინც აღუნებდა ცხოვრებას, ვინც ჰქმნიდა მონობას და ხრწნიდა საზოგადო ცხოვრებას“, კვლავ ამოვიკითხე ეს ჭეშმარიტი სიტყვები გაზეთში.

«ბრძოლა იმათთან, დავუმატებ მე, ვინც მთელ თავის სიცოცხლეს უქმობაში ატარებდა და, ხალხის ნაშრომ-ნაღვაწით გამაძღარი, ხალხსავე უქადის წალეკვას; ბრძოლა იმათთან, ვინც ხელს უშლის თავისუფლებისთვის ბრძოლას, ვინც წუმპესა და აყროლებულ ჭაობზედ სცვლის ანკარა წმინდა წყაროს!..

—რათა ხართ დაღონებული?—დამეკითხა ერთი მალოროსელი, რომელსაც წინ ჭიქით ჩაი ედგა და სვამდა.

—ბევრი რამ არის დასაღონებელი და მეც იმიტომა ვარ დაღონებული,—ვუპასუხე და გამომცდელის თვალით შევხედე.

—არა უშავს-რა, ყველაფერი კარგად მოეწყობა,—მითხრა მან.—მოისპობა ის, რაც მოსასპობია, რაც აფერხებს ხალხის თავისუფალ განვითარებას: მოისპობა სიბნელე, სიწყვდიადე და მათ ადგილს დაიჭერს განათლება და ბედნიერი ცხოვრება...

სულ-განაბული ყურს ვუგდებდი მალოროსელის ლაპარაკს. ვიგრძენ, რომ მალოროსი, დაბეჩავებული მალოროსი უფრო მახლობელი იყო ჩემი, ვიდრე ქართლელი აზნაურიშვილი; ვიგრძენ, რომ ამ მალოროსთან დაახლოვება შემეძლო უფრო ადვილად, ვიდრე უსიცოცხლო, უპრინციპო, გახუნებულ ქართველ აზნაურთან...

⁂

—ერევანში ჩამოვხტი. მეუბნებოდნენ, ქალაქში ნუ წახვალ, თორემ შეიძლება იქ რამე მოხდესო; მაგრამ მე მაინც არ დავუჯერე არავის ლაპარაკს და წაველი..

ქუჩებში სიწყნარე იყო.

მივედი სასტუმროში და ოთახი დავიჭირე, ავიღე წიგნი და დავიწყე კითხვა. ამ დროს გაისმა საზარელი ყვირილი და თოფების სროლა. რამდენისამე ხნის შემდეგ ოთახში შემოვარდა ორიოდე გადაფითრებული, აღელვებული სომეხი, რომლებსაც ხელში რევოლვერები ეჭირათ. მათ ჩემს დაუკითხავად საჩქაროდ დაკეტეს ოთახის კარები და მიიდნენ ფანჯარასთან. მე მივხვდი, რაშიაც იყო საქმე:

თათრები ხოცავდნენ სომხებს. ერევანშიაც მოხდა ის, რაც ბაქოში, რამაც ისე საშინლად შეაძრწუნა ტფილისის საზოგადოება.

გაატარეს რამდენიმე დაჭრილი და მოკლული. აქ, ერევანშიაც დაიღვარა ძმათა სისხლი, აქაც, საერთო მოქმედების მაგივრად, ორი გამხეცებული ბრბო დაეტაკა ერთმანეთს, ასტყდა ხოცვა-ჟლეტა მტრის გასახარებლად...

ამბობენ, ზომებია მიღებულიო.

⁂

არა ერთხელ გამოთქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ კავკასიის ერების დაახლოვება და შეკავშირება არის ქვაკუთხედი კავკასიის განვითარებისა და კულტურისათვის. არა ერთხელ თქმულა, რომ მხოლოდ კავკასიის ერთა შეთანხმებულ მოქმედებას შეუძლიან დაამყაროს კავკასიაში ის თავისუფლებისა და მოქალაქობრივობის პრინციპებზე აგებული წეს-წყობილება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენ კულტურულ ძალთა თავისუფალ განვითარებას. საუბედუროდ, ერევნისა და ბაქოს ამბებმა დისონანსი შეიტანა კავკასიის ერთა კეთილ-განწყობილებაში და ხელი შეუშალა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ წარმატებას. ამიტომ ჩვენ უნდა გავაორკეცოთ მუშაობა, უნდა ყოველ-გვარი ღონის-ძიება ვიხმაროთ, და მოვსპოთ ეს უსარგებლო, უაზრო და შესაზარი სისხლის ღვრა, უნდა ვეცადოთ, რომ, რაც შეიძლება, მალე შეერთდნენ კავკასიის სხვადასხვა ერები საერთო საქმის შესასრულებლად. მხოლოდ ამაშია სარგებლობა კავკასიისა საერთოდ და ქართველებისა—კერძოდ...

ა. ჯ—შვილი.

თეოდორ რუზველტი,

შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ამერიკაში.

თეოდორ რუზველტი,—ნამდვილი ამერიკელია და ამიტომ განსაკუთრებული ხასიათის პატრონიც, მხნე, გაბედული, გულახდილი, თავისებური და მცოდნე.

ამნაირმა ადამიანმა თუ სთქვა რამე, უნდა შეასრულოს კიდეც უთუოდ.

„ნამდვილი ამერიკელი, რუზველტის სიტყვით, ის არის, ვინც ცდილობს ყოველთვის შეასწოროს, მოსპოს ამერიკელების სხვადასხვა ნაკლი და ამასთანავე მეცადინეობს, რომ შეისწავლოს და გადმოიღოს ყველაფერი, რაც არის საჭირო სხვებისგან, განსაკუთრებით მის მონათესავე ერებისაგან“

„ვიყოთ ყველანი ამერიკელები და ჩვენ თავსაც ამერიკელი ვუწოდოთ. ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ჩვენგანი გერმანიიდანაა გადმოსული, ზოგი ირლანდიიდან და ზოგიც კიდევ აქაური მკვიდრია.

„მადლია ვატაროთ ამერიკელის სახელი და ვეცადოთ, რომ ათას წილ სჯობია ადამიანი იყოს საუკეთესო ამერიკელი, ვიდრე ინგლისელებისა და ფრანგების მიმდევარი, მათ ხასიათის ბრმად გადმომღები და მიმდევარიც.“

რუზველტი დაიბადა ნიუ-იორკში 1838 წ. ბავშობითვე მამა უჩიჩინებდა ხოლმე, რომ „ადამიანს არა აქვს უფლება უსაქმურად დარჩესო“, რომ ყველა ვალდებულია მთელი თავისი სიცოცხლე გაატაროს შრომაში, რომ დედამიწაზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი უსაქმურ და უსარგებლო ქმნილებას და რომ უსაქმური ადამიანი სიძულვილის და ზიზღის ღირსია ყველასგან“.

რუზველტმაც შეითვისა ასეთი აზრები და მართლაც ცდილობდა მთელი თავისი სიცოცხლე გაეტარებინა ისე, რომ ყოველთვის მოეტანა რამე სარგებლობა სხვისთვის და არასოდეს არ დარჩენილიყო უსაქმოდ.

ბავშობისას სუსტი, სნეული იყო და ამიტომ არ შეეძლო მიეღო მონაწილეობა ამხანაგების თამაშში. სამაგიეროდ წიგნების კითხვაში იყო გართული. ამხანაგები დასცინოდნენ მის სისუსტეს და მიტომ პატარა რუზველტმა გადასწყვიტა განევითარებია თავისი [illegible] გამხდარიყო ჯანმთელი ყმაწვილი. ამისთვის დაანება თავი წიგნებს და სხვადასხვა ვარჯიშობას მიჰყო ხელი, ცხენოსნობაც დაიწყო, სანადიროდაც დადიოდა მამასთან ერთად და ბოლოს მიაღწია თავის მიზანს: ჩემი ჯანმთელობა ჩემივე მეცადინეობით არის შექმნილიო,—ამბობდა შემდეგ რუზველტი.

უნივერსიტეტში რუზველტი სტუდენტების ჟურნალს რედაქტორობდა, უნივერსიტეტში სწავ-

პრესსა

სუვორინი, რომელიც წინად ყოველ ცვლილების წინააღმდეგი იყო, და რომელმაც შემდეგ იგრძნო მოახლოვებული „გაზაფხული“ და თავისს დროზე კი ვერ დაიწყო საგაზაფხულო ჰანგზე სიმღერა, ის სუვორინი, რომელიც სულ იმის ფიქრშია, რომ სავსებით გამოხატოს მთავრობის სურვილი, თუმცა და მხოლოდ თვალის ასახვლად ცოტა მოილიბერალებს, ის სუვორინი, რომელიც დღეს დასტირის იმას, რასაც გუშინ თვითონვე უთხრიდა სამარეს,—ეხლა საერო კრებაზე მსჯელობს და ამბობს, საჭიროა რუსეთში შესდგეს ისეთივე საპოლიტიკო დასები, როგორიც დასავლეთ ევროპის ყველა საკონსტიტუციო სახელმწიფოებშიაო.

რუსეთში წინადაც ყოფილა სხვადასხვა საპოლიტიკო მიმართულება, წინადაც ზოგიერთი თვითმპყრობელ, განუსაზღვრელ უფლების მქონე მეფესა ნატრობდა. ზოგიერთი კიდევ ხალხის სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობასაც თხოულობდა, რისთვისაც მთავრობას ხშირად აშკარა წინააღმდეგობასაც კი უწევდა. ასეთი მიმართულება რუსეთში იყო, მაგალითად, ალექსანდრე პირველის დროს. ამავე მიმართულებისანი იყვნენ სპერანსკი, დეკაბრისტები, მეორმოცე წლების ინტელიგენცია; ამავე მიზანს ემსახურებოდა რუსის ინტელიგენცია სამოციან წლებში და ემსახურება ეხლაც. ეს მიმართულება პროგრესიული მიმართულებაა და საჯაროდ საერო კრების მოწვევას თხოულობს.

ამასთან ერთად რუსეთში წინად სოციალ-დემოკრატებიც ყოფილან, თუმცა ამ მიმართულებას რუსეთის ხალხში არაოდეს არ მოუპოვებია ძლიერი გავლენა.

სამაგიეროდ, ამჟამად მეტად გავრცელდა აშკარა რევოლუციის მომხრეობა. ხალხი სოფლად მარატებსა და რობესპიერებზე ლაპარაკობს და მის აზრით რევოლუცია აუცილებელია.

სუვორინი ამტკიცებს: საჭიროა რუსეთის სხვადასხვა ხალხი ხშირ ხშირად იკრიბებოდეს მოსალაპარაკებლად, მიმართულების გამოსარკვევად; საჭიროა შესდგეს, შეკავშირდეს ზომიერი საპოლიტიკო დასებიო.

ცვლილების შემოღება აუცილებელია ამჟამად. სწორედ სირცხვილი იქნება, თუ ეხლა, 18 თებერვალს მთავრობისაგან გამოცემულ ბრძანების შემდეგაც, გულხელდაკრეფილი გავჩერდით და ვერ მოვახერხეთ შინაურ საქმეების მოწყობა.

„ნოვოე-ვრემიას“ მეთაურის ასეთი ცხარე მსჯელობა იმისი ნიშანია, რომ ამ მოკლე ხანში შესდგება „ზომიერთაგანი“ საკონსტიტუციო ძლიერი დასი და ეს „ზომიერება“ ალბად იგივე ოპარტიუნისტები შეიქნებიან.

—

გაზ. „ნოვოსტში“ კიდევ არის წერილი პოლონელების შესახებ.

ბიუროკრატია პოლონეთში განუსაზღვრელ უფლებების მქონე შეიქმნა. ყველგან, ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ მიყრუებულ კუთხეებშიაც-კი, ადმინისტრატიულ თვითნებობის პრინციპი ბატონობს.

არ არის შემოღებული საერობო თვითმართველობა, არ არსებობს ნამდვილი საქალაქო თვითმართველობა, არ არის არც ერთი უცენზურო გაზეთი, არ არის შემოღებული ნაფიც მსაჯულთა სამართალი ან ნაფიც ვექილთა წრეები; ადგილობრივ ხალხს არა აქვს უფლება თავის დედა-ენაზე ელაპარაკოს მოხელეებს, თავის დედა-ენაზე დასწეროს თხოვნა.

ჩვენში სოფლელ ბავშვს, რომელსაც ერთი სიტყვაც არ ესმის რუსული, სახალხო სასწავლებლებში ასწავლიან რუსულად, და ჩვენ დედა-ენაზე სწავლების უფლება-კი არა აქვს არავის. ყველგან ჩვენთვის უცხო მოხელეები ბატონობენ და აქაურ საზოგადოებას მასხრადაც იგდებენ.

ნუ თუ ყოველთვის იქნება ასეთი მდგომარეობა? არა, საჭიროა მისი მოსპობა.

რუსეთის ყველა მცხოვრებლებ უნდა ჰქონდეს მინიჭებული თანასწორი უფლება და განაპირა ქვეყნებიც არ უნდა იყოს მოკლებული ამავე თანასწორობას.

რუსებსა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს აშორებს ერთმანეთში ჩინოვნიკობა; ბიუროკრატია ყველგან ეროვნულ სიძულვილის მთესველი არის და ამიტომ, თუ გვინდა ძმური ერთობა, აუცილებლად საჭირო არის ბიუროკრატიის ალაგმვა“.

ბიუროკრატიის მოსპობა ოღონდაც რომ საჭიროა, როგორც შუა-გულ რუსეთში, ისე პოლონეთსა და სხვა განაპირა ქვეყნებში.

რუსეთი

პოლიტიკა რუსულ სკოლებში. ამას წინად პოლტავის რეალურ სასწავლებელში, მასწავლებელს ლ—ვს ფიზიკის გაკვეთილის მაგივრად პოლიტიკის გაკვეთილი მიუცია და მოწაფეთა წინაშე უცხო ენების შესახებ რამდენიმე „შესანიშნავი“ მოსაზრება გამოუთქვამს. მასწავლებელს თავის «აზრების» დასამტკიცებლად სიტყვიერებისათვის მიუმართავს და ნიმუშად «გრაჟდანინ»-ში დაბეჭდილი ლექსი მოუყვანია, რომელიც ამისთანა „მაგალითებით“ ყოფილა სავსე: კონსტიტუცია რუსეთში მარტო ურიებს სჭირდებათო. თავის მხრით მასწავლებელს დაუმატებია, რომ ურიები ყოველთვის „ბუნტოვჩიკები“ და მოლოლატენიაო, და აი ამას წინადაც... და „პედაგოგს“ ბავშვებისთვის გადუცია ყველა ის ჭორი, რომელიც ქუჩაში იბადება და ვრცელდება. ამ „პატრიოტულ“ ციებ-ცხელებით შეპყრობილს ვაჟბატონს, დავიწყებია ანბანი პედაგოგიური ჭეშმარიტებისა, რომელიც ამბობს: კლასში შესვლის შემდეგ, მასწავლებელს მარტო მოსწავლე ჰყავს თვალ-წინ და არა ურია, რუსი, თათარი თუ პოლონელი. ყოველ თავის მოწაფის გონებაში მან უნდა სთესოს მხოლოდ ცოდნა. გულში კი ჩაუნერგოს ამ ცოდნის პატივისცემა, პატივისცემა ჭეშმარიტებისა, ადამიანური ღირსებისა, სხვის პიროვნებისა და სარწმუნოებისა, დაასწავლოს მეგობრობა და ამხანაგური სიყვარული. დავიწყებია ყველა ეს უფალ ლ—ს და კლასისთვის, რომელშიაც ურიის ბავშვებიც ელოდენ მისგან კეთილ სიტყვას, კაცის-მჭამელობაზე გაუბავს საუბარი. ამ „გაკვეთილს“ შესაფერი ზედ-გავლენაც მოუხდენია მოსწავლეებზე. როცა ასეთ «მამულიშვილურ» კილოზე მომართულს ლ—ვს „გრაჟდანინში“ დაბეჭდილი ლექსის წაკითხვაც დაუპირებია, შეურაცხყოფილს და აღელვებულს ერთს ებრაელ-მოწაფეს ველარ მოუთმენია და დაუყვირია: „მე თქვენ არ მოგცემთ ამის ნებას!“

მაგრამ მასწავლებლისთვის მხარი დაუჭერიათ წაქეზებულ რუს-მოსწავლეებს. ერთ რუსს მოსწავლეს გაულახავს ერთი ებრაელი.

დღევანდელი პოლიტიკის მიზეზია, ამბობს ბოლოს კორესპონდენტი, ვლ. კოროლენკო, რომელიც ასეა დღევანდელ სკოლაში დამკვიდრებული, თვითონ სკოლა დაბალ ხარისხის „ბალაგანად“ არის გარდაქცეული, სადაც წამქეზებელ პედაგოგების წყალობით ჰუჭყიან დაცინვა-მასხარაობას, თავ. მეშჩერსკის „კუპლეტებსა“ და ცემა ტყეპას დარჩენიათ ბურთი და მოედანიო“. (რ. უ.).

—

რაკი მუშებს იმედები გაუცრუვდათ და შიდლოვსკის კომისიამ მოლოდინი არ გაამართლა, არეულობა კვლავ მოედო ქარხნებს და სამრეწველოებს. 22 თებერვალს მუშაობას თავი დაანებეს პუტილოვისა და ბალტიის ქარხნის მუშებმა. (რ. უ.).

—

პროვინციას რუსეთში პირდაპირ შიმშილი მოელის თურმე, ისე გაჭირდა ცხოვრება. ნოვგოროდის გუბერნიიდან კორესპონდენტი იწერება: უკიდურეს სიღატაკეს ვუახლოვდებით. ვისაც ოთხი ძროხა ჰყავდა, ეხლა ორიღა ჰყავს, ვისაც ორი ჰყავდა—ეხლა ერთიღა შერჩა, ან და ერთიც აღარ ჰყავს; ბეგარას კი ეხლავე გვთხოვენ, გვთხოვენ სასტიკად“. მეორე კორესპონდენტის სიტყვით სიღატაკეს კი არ ვუახლოვდებით, არამედ დიდი ხანია მივუახლოვდით და ვცდით კიდეცო. იქამდის მივაღწიეთ, რომ აღარც საჭმელი პური გვაქვს და აღარც სათესლეო. ამას ამბობენ ყველა კორესპონდენტები, ამას აცხადებს ყრობა, ამასვე იმეორებს სამაზრო კრებაც (რ. უ.).

გაფიცულ ბავშვების მშობლებს მინსკში პედაგოგიურ საბჭოსთან რჩევის შემდეგ სახალხო განათლების მინისტრისათვის დეპეშით უთხოვნიათ, საჭიროა ბავშვების დასამშვიდებლად სწავლა ჯერ-ჯერობით შესწყდეს სასწავლებლებშიო. რჩევის დროს კი შემუშავებული ყოფილა რეზოლიუცია, რომლითაც მშობლებს შემდეგი მოუთხოვნიათ:

1) პედაგოგიურ საბჭოში წევრებად უნდა იყოს მიღებული მშობლების მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომელთაც ხმა უნდა ჰქონდეს არა მარტო რჩევისა, არამედ საქმის გადაწყვეტის დროსაცაო.

2) შკოლის გარეშე ბავშვების ყოფა-ქცევაზე თვალყურის დევნება დაევალოს მშობლებს და თვით მოსწავლეებს, რომელნიც თვითონ იქნებიან პასუხის მგებელნი სკოლის მთავრობის წინაშე.

3) სარწმუნოებრივი აღზრდა დაევალოს თვით მშობლებს და მოისპოს სარწმუნოების სავალდებულო წესების ასრულება სკოლაში.

4) მოისპოს ეროვნული, სარწმუნოებრივი და წოდებრივი შევიწროება. ბავშვის სკოლაში მიღების დროს.

5. მოითხოვოს მასწავლებლებისაგან ბავშვის პიროვნების პატივისცემა, რისთვისაც ა) უნდა მოისპოს არსებული სისტემა სასჯელისა (კუთხეში დაყენება, დამწყვდევა და სხ.), ბ) ბავშვს ზრდილობიანად უნდა ეპყრობოდნენ და გ) უნდა მისცენ ნება ბავშვს გაკვეთილის შემდეგ იმ ენაზე ილაპარაკოს, რომელზედაც სურს.

6) მოისპოს სკოლაში ჯაშუშობა და დასმენა, გამოიდევნოს პედელები.

7) მიენდოს ადგილობრივი ენების სწავლება საფუძვლიანად მცოდნე მასწავლებლებს.

8) სამღვთო სჯული ისწავლებოდეს სამშობლო ენაზე.

9) გადიშინჯოს სამოსწავლო სისტემა, სახელმძღვანელოები და ყველა სამოსწავლო წიგნები და ეს დაევალოს პედაგოგიურ საბჭოს მშობლების წარმომადგენლებთან ერთად.

10) არასგზით არ დაისაჯოს არცერთი შეგირდი, რომელმაც გაფიცვაში მიიღო მონაწილეობა. („რ. უ.“).

„განსაკუთრებული ზომები“.

> გახშირებული დატუსაღება და ადმინისტრატიულ ზომების ხმარება იქ, საცა საქმე კანონის ძალით სასამართლოს გადასაწყვეტია, საზოგადოებას ყოველთვის აღელვებს (სენატორი დურნოვო. მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე 11 თებერვალს).

რამ აღელვა ასე საშინლად რუსეთის ხალხი, რომელიც ყოველთვის განსაცვიფრებელ მოთმინებას იჩენდა და უბრძოლველად, ნებაყოფლობით ბედისწერას ემორჩილებოდა? საიდან არის ამდენი პროტესტი, ამდენი სურვილი და დაუსრულებელი მოთხოვნა? სად არის მიზეზი? ეკითხება ამჟამად თავისს თავს ყოველი უმაღლესი მოხელე და პასუხი კი ვერ უპოვნია.

ყველა თავისებურად ხსნის დღევანდელ მდგომარეობას.

და რაკი ამ ახსნაზე არის დამოკიდებული რუსეთის მომავალი იღბალი, ამიტომ ჩვენც, გაზეთების უბრალო მუშაკნი, ამ აღელვებულ ერის შვილნი, ვალდებულნი ვართ დავუკვირდეთ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მიყრუებულ კუთხესაც და გავარკვიოთ, საზოგადოებისათვის ამჟამად რომელ გზაზე დადგომა უფრო საჭირო და სასარგებლოა.

მინისტრთა კომიტეტში სხვებთან შედარებით ყველაზე უფრო ნათლად მსჯელობს სენატორი დურნოვო.

„ყველაზე უფრო“-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მისგან დასახელებული მიზეზი სულ მცირედი და უმნიშვნელოა იმ საშინელ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც აწუხებს და აქვეითებს რუსეთის საზოგადოებას, უსპობს მომავლის იმედს და უიმედოდ, უმწეოდ დარჩენილ ხალხს ბრძოლისათვის აქეზებს უფლებების მოსაპოვებლად.

რა არის ნამდვილი მიზეზი?

არსებულ კანონების უვარგისობა? უფლება-მოკლებულ ცხოვრების სიავე?

არა!..

უბედურება ის არის, რომ რუსის სამსახურში მყოფი დაბალი მოხელენი, გროშად არა ღირან.

არაფრად ვარგა არსებული კანონმდებლობა, არაფრად ვარგა „განსაკუთრებული“ კანონები, შემოღებული სხვადასხვა ადგილას, არ ვარგა ადმინისტრაციის თვითნებობა და თავგასულობა,—როგორც იქნებოდა ამ უბედურებასაც გაუძლებდა მონობაში აღზრდილი რუსეთის ერი, ყოველთვის კანონი მაინც რომ სრულდებოდეს, კანონის დამრღვევი მოხელე რომ ისჯებოდეს ისევე, როგორც უკანასკნელი მოქალაქე, და სასამართლო ყოველსავე საქმეში დამოუკიდებელი და სიმართლის მძებნელი იყოს.

მაგრამ, საუბედუროდ, ყოველი მოსამართლე, ყოველივე უკანასკნელი—ადმინისტრატორი-ივიწყებს,—რომ მისი მოვალეობაა კანონის ასრულება და სხვა არაფერი. მოხელენი კი ცდილობენ ადამიანის გაციმბირებით, მუშტის კვრითა და მათრახებით ააშენონ ქვეყანა,—რუსეთი და მით სახელმწიფოს „დიდ მოღვაწეთა“ რიცხვში ჩაეწერნენ! განა კანონის პატივისცემა შეიძლება იქ, სადაც დიდის სიფრთხილით არ ეკიდებიან ადამიანის დატუსაღებას, ადამიანის სამართალში მიცემას? და ისიც მაშინ, როდესაც ბრალმდებლად და მოწმედ გამოდიან ერთი და იგივე პირები, კანონის პატივისცემა არ შეიძლება იქ, სადაც მსაჯული ამრუდებს სიმართლის სასწორს და თვითონვე ემხრობა უსამართლობას.

არ შეიძლება კანონის პატივისცემა იქ, სადაც თვითონ ჩინოვნიკობა და მთავრობის წარმომადგენლები არღვევენ კანონს და ძალმომრეობას ეტანებიან.

ვ. ი.

უცხოეთი

მაკედონია. ამ ორის წლის წინად რუსეთი და ავსტრია, რომელთაც არა ერთხელ მოსვლიათ უთანხმოება საზოგადოდ ბალკანეთის შესახებ და კერძოდ მაკედონიის საქმეთა გამო, ქალაქ მიურცუშტეგში მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმდნენ, რათა საერთო ძალით ბოლო მოეღოთ იმ არეულობისათვის, რომელიც მაკედონიაში იქაურ მაჰმადიანთა და ქრისტიანთ, ალბანელთ და ბოლგართა შორის იყო გამეფებული. არეულობა მეტად გამწვავებული იყო და, როგორც ვიცით, საქმე იქამდინ მივიდა, რომ ამ ქვეყნის მეზობელი ბულგარია თეისს მოძმეების, მაკედონელ ბულგართა დასახსნელად ოსმალეთს თითქმის ომის გამოცხადებას უპირებდა. მოსალოდნელ ომში სერბიაც ჩაერეოდა და არც ჩერნოგორია დარჩებოდა გულხელდაკრებილი. ოსმალეთიც შეუდგა ჯარის მობილიზაციას და ადრიანოპოლის ვილაიეტი ჯარებით გაავსო. ამგვარად, მთელი ბალკანეთი მეტად საშიშ ყოფაში ჩავარდა და ყველა გრძნობდა, რომ აქ ანთებული ცეცხლი, რუსეთისა და ავსტრიის მეოხებით, ევროპასაც მოედებოდა. სწორედ ამ დროს რუსეთისა და იაპონიის შორისაც სამედო ურთიერთობა არ იყო. მალე რუსეთს იაპონია დაპირების ასრულებას მოსთხოვდა—მანჯურიიდან ჯარის გაყვანაზე; ეს მათ შორის ურთიერთობას გამწვავებდა და, ვინ იცის, რას მოიტანდა ახლო მომავალში. რუსეთი დროზე მიხვდა რომ მისთვის აუცილებლად საჭირო იყო ბალკანეთში მშვიდობიანობა დაემყარებინა და ამ მხრით სახიფათო გარემოება თავიდან აეცილებინა. ამ აზრით მოხდა მურცუშტეგის მოლაპარაკება და ამას შედეგად მოჰყვა რეფორმების პროგრამა, რომელიც წარუდგინა ოსმალების მთავრობას მაკედონიაში წეს-წყობილების განსაკარგებლად. ოსმალეთმა შეიწყნარა ეს ძალა-უნებურად. რეფორმების განსახორციელებლად მოწვეულ იქმნა საგანგე-

---

ლის დასრულების შემდეგ კი, 1882 წ., ე. ი. მაშინ, როდესაც რუზველტი 24 წლისა იყო, მან დასწერა წიგნი „1812 წლის საზღვაო ომი“, რომელიც დღემდის ითვლება საუკეთესო ისტორიულ წიგნად შეერთებულ შტატების ფლოტის შესახებ.

24 წლის რუზველტი შეიქმნა საკანონმდებლო კრების წევრად ნიუ-ორკში და რესპუბლიკელ დასის საუკეთესო ორატორადაც.

უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ რუზველტმა ერთი წლის განმავლობაში მოიარა მთელი ევროპა და იქიდან დაბრუნებული მაშინვე გაეიდა საპოლიტიკო მოღვაწეობის ასპარეზზე.

ზოგიერთს ეგონა, რომ რუზველტი დაადგება სხვადასხვა-ნაირ დროს გატარებას და გართულობას, რადგანაც ამაში ქონებაც ხელს უწყობდა და ის გარემოებაც, რომ დაბადებით იგი ეკუთვნოდა ნიუ-ორკის არისტოკრატიას და იცნობდა კიდეც პირადად ყველას. მაგრამ რუზველტს არ მოსწონდა ასეთი დროს გატარება, თუმცა საპოლიტიკო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსული იძულებული შეიქმნა გასულიყო საზოგადოებაში.

რესპუბლიკელმა დასმა აირჩია რუზველტი საკანონმდებლო რჩევის წევრად ნიუ-ორკში, სადაც უმეტესობა დემოკრატები იყო, და აქ რუზველტს მოუხდა ოპოზიციის მეთაურობა.

მალე ეროვნულ კონვენტშიაც აირჩიეს ახალგაზდა რუზველტი და ყველას ეგონა, რომ იგი მალე ავა სამსახურის უმაღლეს საფეხურამდის. უმთავრესი მისი ამხანაგები შურის თვალითაც უყურებდნენ მის დაწინაურებას,—მაგრამ რუზველტმა შეასრულა თავისი მოვალეობა კონვენტში და განაცხადა, რომ უარს ამბობს საზოგადო მოღვაწეობაზე და უნდას აქმე მყუდროდ იცხოვროს თავის ასულისა სზრდელად. ცოტა ხნის წინად მოუკვდა ცოლი და ეს პატარა ქალი დარჩა რუზველტს მის სახსოვრად.

ნამდვილად კი რუზველტის ჩამოშორების მიზეზი ის იყო, რომ ვერ მოურიგდა თავის ამხანაგებს სამსახურში და ვერ შეითვისა საზოგადო ცხოვრებაში გაბატონებული ჩვეულებები. კრებებზე ხშირად მუშტი-კრივამდის მიდიოდა საქმე, ყველგან იყო ფეხ-მოკიდებული ქრთამობა.

რუზველტი წინ აღუდგა ქრთამობას და ამითი გადაიმტერა ყველა უმაღლეს სამსახურში მყოფი მოხელეები და ზოგიერთი თავის დასის წევრები. მის წინაღმდეგ გამოილაშქრა «ტამანი გელლის» ამხანაგობამ, რომლის დანიშნულება არის არჩევნების მოწყობა, მოკენჭვების შოვნა, ქრთამის გაცემა.

რუზველტი გაამავეს კენჭის დროს.

მოშორებული საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზს, რუზველტი დასახლდა ინდოელებში, მდინარე მისსურის ნაპირას. აქ აიშენა პატარა სახლი, გაიწყო ინდიელებსავით პატარა ჯოგი, მოიტანა წიგნები და ბედნიერადაც ჰგრძნობდა თავის თავს. ერთად-ერთი შემაკავშირებელი ძაფი, რომელიც აერთებდა განათლებულ ქვეყანას, იყო მწერლობა. რუზველტი ხშირად ჰგზავნიდა წერილებს ამერიკის ჟურნალებისთვის.

ეს წერილები არ ავიწყებდნენ მის სახელს ამერიკაში და ამიტომ, როდესაც რუზველტი დაბრუნდა ნიუ-იორკში, მისმა დასმა მაშინვე დაასახელა თავის კანდიდატად ამ ქალაქის მოურავის ადგილზე, მაგრამ აქ რუზველტი დარჩა დამარცხებული.

1889 წ. პრეზიდენტმა ჰარისონმა მოიწვია რუზველტი მონაწილეობის მისაღებად იმ კომისიაში, რომელსაც უნდა მოეწესრიგებია ნიუ-იორკის სამოქალაქო ადმინისტრაცია. ამ კომისიაში რუზველტმა იშრომა 6 წლის განმავლობაში და მხნედ ებრძოდა ყოველგვარ სიგლახეს და უსვინიდისობას, რომელიც იყო გაბატონებული ამ ქალაქის მართვა და გამგეობაში. განსაკუთრებით აშფოთებდა რუზველტს ამერიკაში შემოღებული ჩვეულება, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ცვლიდენ ყველა მოხელეს, დაყენებულს უწინდელ პრეზიდენტის დროს, და ამ გამოცვლის დროს ხშირად ისეთი პირები იგდებდნენ ხელში ადგილს, რომ ამერიკის ისტორია და გეოგრაფიაც კი არ იცოდნენ სრულებით.

1895 წ. რუზველტი შეეიდა წევრად კომისიაში, რომელსაც უნდა მოეწყო ნიუ-იორკის პოლიცია. ამ დროს „ტამანი-გალლის“ ამხანაგობასთან ბრძოლა საეროო შეიქმნა. ნიურ-იორკის მოურავმა სტრონგმა მოახერხა ქრთამების მოსპობა ყველგან, მხოლოდ პოლიციასთან ვერაფერი გააწყო. და სწორედ ის საქმე მიენდო ეხლა რუზველტს, რომელიც ორი წლის განმავლობაში სასურველად შეასრულა

ამის შემდეგ რუზველტი საზღვაო სამინისტროში გადავიდა.

თვითონ რუზველტი ამბობს, რომ მისი სამსახური ამ სამინისტროში მეტად სასარგებლო იყო შეერთებულ შტატებისათვის,—გემები არ ვარგოდა, არ იყო საკმარისად დამზადებული ყუმბარები, არ იყო გამოცდილი ზღვაოსანი ჯარი და სხვა, და სხვა. „რას ჩქარობთ და რად ფიქრობთ ყოველთვის ომიანობაზე“?—ჰკითხა რუზველტს ერთმა მწერალმა. „იმიტომ, მიუგო რუზველტმა, რომ ამ ერთ წელიწადში აუცილებელი შეიქნება ომი ისპანიასთან“.

მართლაც, ის ომიც მალე დაიწყო და შეერთებულ შტატებს მეტად გამოადგა რუზველტის მეცადინეობა ფლოტის გაძლიერებაზე.

რუზველტის აზრით, ომის დაწყება ხშირად აუცილებელი საჭირო არის. ოსმალეთში სომხებს რომ ხოცავდნენ, ევროპის ყველა სახელმწიფო ერიდებოდა ომიანობას და ამისაგამო აუარებელი ხალხი ამოიჟლიტა. ამიტომ განზე გაჩერება და არ ჩარევა საქმეში ხშირად ნამდვილ ბოროტმოქმედებად უნდა ჩაითვალოსო.

მხოლოდ ისეთ ომიანობის გამართლებაა შესაძლო, ამბობდა რუზველტი, რომელიც არის საჭირო მისთვის შინაურ სიმტკიცისათვის, გარეშე მტრისაგან თავის დასაცველად ან საზღვარ გარედ ჩაგრულის გასანთავისუფლებლადო.

ომიანობა რომ დაიწყო, რუზველტმა დაანება თავი სამსახურს, შეადგინა ცალკე რაზმი, წავიდა კუბას ბრძოლის ველზე და იქ საოცარი მხნეობა და გამჭრიახობაც გამოიჩინა.

კუბიდან დაბრუნებული და სახელ-განთქმული რუზველტი აირჩიეს მაშინვე შტატ ნიუ-იორკის გუბერნატორად, თუმცა „ტამანი გალლის“ ამხანაგობამ ყოველივე საშუალება იხმარა მის დასამარცხებლად. მაგრამ რაკი აქ მისი მოქმედება ბევრისათვის არ იყო სასიამოვნო, ამიტომ ეშმაკობას მიჰმართეს მის მოსაშორებლად,—რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტად გახადეს.

1899 წ. რუზველტი გამოაცხადეს მაკ-კინლეისთან ერთად კანდიდატად პრეზიდენტის ადგიზე. ამერიკაში ჩვეულებაა, რომ არჩევნების წინ კანდიდატი მოივლის ხოლმე მთელ ამერიკას და ყველგან გააგებინებს ხალხს თავის სამოქმედო გეგმან, რომ ხალხიც შემდეგ ამის მიხედვით მოიქცეს. განსაკუთრებულის მატარებლით და განსაცვიფრებელის სისწრაფით დაჰქროლავდა რუზველტი მთელ ამერიკაში. გზაში ხან 15 წამით ჩერდებოდა, ხან კიდევ მეტის ხნით და ამბობდა სიტყვას წინადვე შეკრებილ ხალხის წინ. უმეტეს ნაწილად 5—10,000 მსმენელი გროვდებოდა მის სიტყვების მოსასმენად. ერთი-მეორეზე რუზველტს ორი კვირის განმავლობაში დღეში თოთხმეტი სიტყვა წარმოუთქვამს, ნიუ-იორკის შტატში რუზველტმა 200 ქალაქი მოიარა და 40 სიტყვა წარმოსთქვა.

„ტამანი-გალლის“ ამხანაგობის მეთაურმა კრუკერმა დაიფიცა, რომ არ გაამარჯვებდა რუზველტს. მათგან მოსყიდული ჟურნალ-გაზეთობა საერთოდ მოქმედობდა რუზველტის საწინააღმდეგოდ.

მთელი ამერიკა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს საარჩევნო ბრძოლას, მით უფრო, რომ რუზველტის მოწინააღმდეგე—დემოკრატების კანდიდატი ბრაიანი, არ ჩამოუვარდებოდა რუზველტს მხნეობით და ისიც დადიოდა სხვადასხვა ქალაქებში საარჩევნო სიტყვების წარმოსათქმელად.

მაგრამ რუზველტი თავისთავის არ მოქმედობდა, სიტყვებში ურჩევდა ხალხს მაკ-კინლეის, მაშინდელ პრეზიდენტის არჩევას, თვითონ კი, როგორც ვიცე-პრეზიდენტი, ამერიკულ ჩვეულების თანახმად, ვერ დაიდგამდა ცალკე ყუთს პრეზიდენტის ადგილზე.

ამ დროს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც სრულებით შესცვალა მდგომარეობა,—მაკ-კინლეი, ბუფფალოს გამოფენაზე მოჰკლეს და ამნაირად რუზველტსაც მიეცა უფლება დაედგა თავისთვის ყუთი და მართლაც ხალხმა აირჩია იგი დიდი ხმის უმეტესობით.

პრეზიდენტობის დროს რუზველტმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება შინაურ საქმეების გაუმჯობესებას.

ამერიკაში სიმდიდრეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იქ მდიდარი მწარმოებლები უერთდებიან ერთმანეთს და თანდათან ბატონდებიან ბაზარზე, სპობენ ყველა მოქიშპეს, ამყარებენ მონოპოლიას. მსხვილ მწარმოებლების ასეთ შეერთებას იქ ჰქვიან „ტრესტი“. არსებობს იქ რკინის გზების ტრესტი, შაქრის ტრესტი, ნავთის ტრესტი, ფოლადის და რკინეულობის ტრესტი, ხორბლეულობის ტრესტი. ერთი სიტყვით, ხალხის ეკონომიური ცხოვრება აქვს ჩაგდებული ხელში რამოდენსამე პირს და მათ წინაღმდეგ ბრძოლა არ შეუძლიან არავის.

ტრესტების გაბატონებამ ხელი შეუწყო სოციალიზმის გავრცელებას ამერიკაში. 1881 წ. მაგ., არჩევნების დროს სოციალისტების ხმები არ აღემატებოდა 2,000-ს 1898 წელს უკვე 82,000 შეიქმნა, 1902 წელს 225,000 და 1904 წელს 600,000 ხმა.

„ტრესტების მეთაურები ნიადაგს გვიმზადებენ ყველგან,—ამბობდა ერთი სოციალისტი კანდიდატი საარჩევნო კრებაზე,—რაც უფრო ძლიერი ხდება ტრესტები, მით უფრო უეჭველია ჩვენი გამარჯვებაც და სოციალიზმის გაბატონება ამერიკაში“.

რუზველტმა ვერ გააუქმა ტრესტები, ჯერჯერობით მხოლოდ შემოაღებინა მთავრობისაგან იმათ მოქმედების კანტროლი, თუმცა ყველასათვის არის აშკარა, რომ მალე თვით ცხოვრება აიძულებს ამერიკის ხალხს ამ საქმეს მეტი ყურადღება მიაქციოს და ტრესტების გაბატონებას ბოლო მოუღოს.

სამაგიეროდ, მეორე კითხვაში რუზველტმა მეტი სიმტკიცე გამოიჩინა. ამერიკაში მრავლად ცხოვრობენ მონებად ნამყოფი და ეხლა განთავისუფლებული ზანგები. ამათ აქვთ კანონით მინიჭებული ამერიკელ მოქალაქეთა უფლება, მაგრამ საქმით ამერიკელები მათ დღესაც ახლო არიკარებენ, სირცხვილად მიაჩნიათ ზანგის ნაცნობობა, მასთან საქმის დაწყება, მისი ამხანაგობა.

რუზველტმა დაარღვია ასეთი შეხედულება და მიიწვია პრეზიდენტის სასახლეში სადილად გამოჩენილი ზანგი ბუკერ ვაშინგტონი.

ზანგის მიწვევამ სასახლეში აალელვა მთელი ამერიკა. რუზველტს ათასობით მოსდიოდა გინების წერილები. სხვადასხვა ქალაქში მართეს კრებები რუზველტის საწინააღმდეგოდ. ზოგან დიდის ამბით დასწვეს რუზველტის სურათი.

ამდენი მითქმა-მოთქმა და აღელვება იმის გამო, რომ ერთი ზანგი მოიწვია რუზველტმა!

მაგრამ რუზველტი არ შეშინდა. კოლუმბიაში უმთავრეს მოსამართლედ დანიშნა ზანგი და შემდეგ თანდათან მიანდო ზანგს სხვადასხვა თანამდებობის ასრულება ამერიკაში.

რუზველტის მეგობრებს ეშინოდათ, რომ ზანგების გამო მთელი შეერთებულ-შტატების ხალხი გადაიმტერება პრეზიდენტს, მაგრამ მისმა გაბედულობამ გაიტანა თავისი და ეხლა თანდათან ისპობა ამერიკელებში სიძულვილი ზანგებისადმი.

რუზველტი ცნობილია აგრეთვე, როგორც მწერალი. მისი ნაწერები გამოხატავენ რუზველტის ხასიათს და აქაც იგივე გაბედულობა, იგივე სიმტკიცე და ნათელი აზრია.

„შეიძლება განა იმაზე უარესი რამე ვასწავლოთ ადამიანს, როგორიც არის დაუსრულებელი ჩივილი, სხვის მოიმედედ დარჩენა? ვისაც უნდა მიაღწიოს რასმე,—თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, არ უნდა ელოდეს დახმარებას მთავრობისგან, უნდა ამაყობდეს თავისი ნაშრომით, არ უნდა შურდეს სხვისი ბედნიერება: მხნედ და გაბედულად უნდა შეხვდეს თავის ბედს, და ცდილობდეს გამარჯვებას და არასოდეს არ უნდა გადააბრალოს სხვებს თავისი დამარცხებაო“.

აქ არის გამოხატული ნამდვილი ამერიკელის შეხედულება. რუზველტს არ სჯერა, რომ კანონებს შეეძლოს ყველაფრის შესრულება საზოგადოებაში. საჭიროა აგრეთვე კერძო ადამიანის მხნეობა, მუყაითობა, საქმიანობის უნარი. საჭიროა სიზარმაცის, უსაქმობის მოსპობა.

ამ აზრებს ადგა ცხოვრებაში რუზველტი.

—*.

ბო კომისია, დაწესდა ევროპიელთა უფროსობით ჟანდარმერია და სხვ. მაგრამ, როგორც ჩვეულებათ აქვს ოსმალეთს, აქაც დაიწყო მან საქმის გაჭიანურება და სხვადასხვა საბაბით აგვიანებს რეფორმების სისრულეში მოყვანას. ხალხი ისევ გაშფოთდა, ამბოხებამ ისევ იჩინა თავი და თანდათან ძლიერდება; ჯარს და შეიარაღებულ ბრბოებს შეტაკება მოსდით აქა-იქ. ოსმალეთმა ჯარების გზავნა დაიწყო მაკედონიაში და ძველ სერბიაში. მაშასადამე, ბალკანეთი ისევ საშიშ ყოფაში ჩავარდა და არავინ იცის ახლა რიღათი გათავდება საქმის ასეთი გამწვავებული მდგომარეობა. რუსეთი ახლა, რაღა თქმა უნდა, ვეღარ ჩაერევა მაკედონიის საქმეში, რადგან თავისი საქმეც აწეწილი აქვს. მაინც ამას წინად კიდევ მოახერხა ავსტრიასთან ერთად საერთო ნოტის გაგზავნა სტამბოლში, რომლითაც მაკედონიის რეფორმების შესახებ ოსმალეთს დანაპირები მოაგონა. ნოტაზე ოსმალეთმა ორთავე სახელმწიფოთ, პასუხად შეუთვალა, რეფორმებს შემოვიღებო, მაგრამ იძულებული ვარ ევროპიდამ შემოტანილ საქონელზე სადამოჟნო ბაჟს საქონლის ღირებულობის კვალობაზე 3% მოვუმატოო; ამას იმით ასაბუთებს, რომ რეფორმებს დიდი ხარჯი მოჰყვება მაკედონიაშიო. სადამოჟნო ბაჟის აწევაში ევროპიელი სახელმწიფოები, რასაკვირველია, არ დაეთანხმებიან. საქმე უფრო გაჭიანურდება. მანამდის კი ოსმალეთი ომის თადარიგშია და, როგორც ვიცით, ამას წინად ევროპიდამ დიდძალი იარაღიც დაიბარა.

ჰუნგრეთი. აი ერთი საუკეთესო მაგალითი იმის საჩვენებლად, თუ რა პასუხის გებაში შეიძლება ჩავარდეს მინისტრი იმ ქვეყნებში, სადაც თვით ხალხი განაგებს ქვეყანას და იგი არაა ყურ-მოჭრილი ყმა და მონა ყოვლის მპყრობელ მთავრობისა. ჰუნგრეთის პარლამენტში აქამდინ უმეტესობას შეადგენდა ავსტრიის მომხრე დასი; უმცირესობა-კი, როგორც ვიცით, ჰუნგრეთის ავტონომიას რჩეობდა. ამიტომ იმ თავითვე გამწვავებული ბრძოლა, რომელიც ავსტრიის მთავრობას ჰქონდა ჰუნგრეთის ავტონომიის მომხრე ოპოზიციასთან, ამას წინად მითი გათავდა, რომ იმპერატორმა თვის უკიდურეს უფლებას მიმართა, დაითხოვა ბუდაპეშტის პარლამენტი და ჰუნგრეთს ახალ დეპუტატების ამორჩევა მოსთხოვა. ამრიგად ხალხს შემთხვევა მიეცა ავსტრიის მთავრობისათვის ეჩვენებინა, რომელ დასს უფრო თანაუგრძნობს,—ავსტრიის, მომხრესა თუ ოპოზიციას, რომელიც ავსტრო-უნგრეთის პოლიტიკურ სისტემის შეცვლას ცდილობს და მათს ურთი-ერთობაში ავტონომიურ ხელ-შეკრულობის დადებას.

ახალ არჩევნებში თითქმის მთელი ჰუნგრეთი ოპოზიციას მიემხრო და მისი უმცირესობა უმრავლესობად გარდაიქცია. ახალ პარლამენტში ახლა მხოლოდ უმცირესობაა ავსტრიის მომხრე. მთავრობას იმედი გაუცრუვდა და, რომ მეტი აღარა დარჩა-რა, იმპერატორი როგორღაც აგვიანებს სამინისტროს დანიშვნას, რომელიც პარლამენტის უმრავლესობიდან უნდა იყოს არჩეული, ე. ი. მოწინააღმდეგე დასისაგან. საქმე გაჭიანურდა მეფის „ობსტრუქციით,“ პარლამენტი უსაქმოდაა. ამის-და მიუხედავად, დეპუტატები თავის დროზე სავსებით იკრიბებიან პარლამენტში და ერთის დეპუტატის თავმჯდომარეობით ბჭობენ ქვეყნის საქმეებზე.

იმავ დროს პარლამენტი ერთს ოინს უპირებს ავსტრიის იმპერატორს, სამაგიეროს გარდასახდელად. საქმე იმაშია, რომ ამას წინად მინისტრმა ტისსამ ავსტრო-ჰუნგრეთის სახელით გერმანიასთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა, კანონის ძალით კი ეს ჯერ პარლამენტს უნდა გაერჩია და მიეღო და მხოლოდ მინისტრს მაშინ უნდა მოეწერა მასზე თვისი ხელი. მაგრამ ტისსა დარწმუნებული იყო, რომ ახალ არჩევანებით პარლამენტში უმეტესობა ისევ ავსტრიის მომხრე დასისა იქმნებოდა და ეს ხომ გაამართლებდა მის უკანონო საქციელს. აი ამას ჩასჭიდა ხელი ოპოზიციამ სამაგიეროს გარდასახდელად, იმპერატორი სამინისტროს დანიშვნას აგვიანებს და, როგორც წინანდელი მინისტრ-პრეზიდენტი ბარონ ბენერი აცხადებს, მინისტრი ტისსა მალე სამართალში იქნება მიცემული და გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულებაც პარლამენტისაგან გაუქმდებაო.

სამეცნიერო წერილი.

რადის სხივები

რენტგენის სხივების აღმოჩენის შემდეგ ფრანგმა მეცნიერმა ბეკკერელმა გამოაქვეყნა, რომ ზოგიერთ ლითონს, მაგალითად ურანს, შეუძლიან გამოაშუქოს რენტგენის მაგვარი სხივები.

ლითონი რადის სხივები, რომლებიც ცოლ-ქმარმა კიურიმ აღმოაჩინა, თავისი თვისებებით სრულებით ეზგავსებიან რენტგენის სხივებს, ორსავე სხივებს ერთგვარი ფიზიკური თვისებანი აქვთ. ამ სხივების უმთავრეს თვისებას კი ბაქტერიების დახოცვის ძალა შეადგენს. აი ამ თვისებაზეა დამყარებული ამ სხივების გამკურნავი ძალა. მართლაც, საექიმო ჟურნალებში მრავალი შემთხვევებია მოყვანილი, რომლებიც ნათლად მოწმობენ ამ სხივების გამკურნავ ძალას. არის ისეთი სენი, რომლის წინააღმდეგ მედიცინა სრულებით უძლური იყო. არ გვქონდა ღონისძიება გვეშველა ავადმყოფისათვის, რომელიც, ადრე თუ გვიან, იღუპებოდა ისეთის სენით.

ეს სხივები ძლიერ მალე ჰკურნავენ სხვადასხვა გვარ კანის ავადმყოფობას, როგორც, მაგალითად, კუს, კანის სიჭლერქეს და სხვას. ეს სხივები ხოცვენ სენის გამომწვეველ ბაქტერიებს, რითაც სწყდება მათი შხამის მოქმედება კანზე. გარდა ამისა, სხივები მოქმედობენ თვით სისხლის მზიდავ ძარღვებზე, აცოცხლებენ და ძალას უმატებენ სისხლის თეთრ ბურთულებს — ლეიკოციტებს, რომლებიც გროვდება მტკივან ადგილას, და ებრძვის აქ მყოფ შხამიან ბაქტერიებს, ანადგურებს და მიაქვს აქედგან სისხლის მორევში. მაშასადამე, ამ სხივების გავლენით ადამიანის სხეულში ძლიერდება ბუნებრივი იმმუნიტეტი—მიუდრეკელობა. დასასრულ, ეს სხივები ასუსტებენ და აკლებენ სიცოცხლის ძალას სნეულისათვის მავნე უჯრედებს, რომლებისგანაც კუ და სხვა კანის სიმსივნე შესდგება.

რადის სხივების ხმარება ავადმყოფის მოსარჩენად სულ უბრალო და მარტივია არ არის სრულებით საჭირო არავითარი რთული მანქანა, ხოლო ეს კია, რომ თვით ლითონი რადი ძლიერ ძვირია.

რადის სხივების მოქმედება უფრო ძლიერია რენტგენის სხივებზე. რადის სხივები, როგორც უკანასკნელ გამოკვლევებიდან სჩანს, მოქმედობს არა მხოლოდ კანზე, არამედ უფრო ღრმადაც, შიგნეულ ორგანოებზე, ნერვებზე და თვით ტვინზედაც, რადგან ეს სხივები თავისუფლად გადის თავის ქალას ძვლებში. ასე რომ შესაძლოა ხდება მორჩენა სხვადასხვა გვარ სიმსივნისა, რომელიც ღრმად სხეულის რომელსამე ნაწილში ზის.

სხვათა შორის-აღწერილია 86 წლის ავადმყოფის მორჩენა, რომელსაც ლოყაზედ კუს სიმსივნე ჰქონდა: რამდენისამე დღის განმავლობაში სრულებით გაუქრა ეს კუ; ყოველ დღე 10—15 წუთს აშუქებდნენ რადის სხივებს ამ სიმსივნეს, შემდეგ დღე გამოშვებით, ბოლოს ყოველ ხუთ დღეში ერთხელ ორ-ორ წუთს; ჯერ სიმსივნეს სიწითლემ უმატა, სიმსივნეს თავი დაუწყლულდა, დარბილდა და თანდათან დაპატარავდა; ბოლოს სრულებით გაჰქრა, იარამ თავი შეიკრა და სიმსივნის ადგილას მხოლოდ რბილი მოთეთრო, თვალით ოდნავ შესამჩნევი, ნაჭდევი ღა დარჩა.

ექიმი ბადრიძე.

ბიბლიოგრაფია

გრაფ. უვაროვისა. Кавказъ. 1904 წ.

დაიბეჭდა გრ. უვაროვის მოზრდილი წიგნი, რომელშიაც ავტორს მოუთავსებია თავისი „მგზავრის წერილები“ და აგრეთვე 18 სურათი ნახულ ადგილებისა, საყდრებისა, ხობათა და სხვ.

ავტორს დაუვლია რაჭა, ქართლი, ოსეთი, ფშავი, ხევსურეთი და სვანეთი. გზადაგზა აუწერია ქვეყნის ადგილ-მდებარეობა, ერის ზნეჩვეულება, ციხე-კოშკები და უმთავრესად კი საყდრები და მათში დაშთენილი სამკაული, ხატი, ჯვარი და წიგნები.

უვაროვისას ყველგან ჰხიბლავს შვენიერება ჩვენის ქვეყნისა. სახილველს ქუთაისის ბაგრატის ტაძრიდან დიდს აღტაცებაში მოჰყავს მგზავრი ქალი. აგრეთვე ხომლის სიმშვენიერითა და დიდებულობით დიდი სიამოვნება უგრძნია. აქ ყველგან კაცის დამატკბობელი ფერადი და ტურფა სურათებია.

უწერაში უვაროვისას დაუთვალიერებია ადგილობრივი ძველი საყდარი სიონი, რომელშიაც, როგორც ვახუშტიც მოწმობს, შენახული ყოფილა თამარ მეფის ნაწნავი.

ნიკორწმინდის საყდრის სამკაული, უვაროვის აზრით, უფრო მდიდარია, მრავალნაირია, ვიდრე შემკულობა ბაგრატის ტაძრისა, სამაგიეროდ ამ უკანასკნელის ფორმები პირველისაზე უფრო თვალსაჩინოა, უფრო დიდებული, რადგან ბაგრატის საყდარი ეკუთვნის ქართულ არქიტექტორის აყვავების ხანას.

რაჭიდან უვაროვისა ბრუნდება ქუთაისს და იქიდან მიდის გორს, აქ ათვალიერებს მრავალს შესანიშნავს ნაშთებს, ურბნისს, რუისს, გორიჯვარს, ატენს, უფლისციხეს და სხ. და მერე მიდის ოსეთს, რომლის აწერას დიდს დროსა და შრომას ანდომებს.

ფშავ-ხევსურეთ სვანეთის აღწერას უვაროვისა შეუდგება 1905 წელს. რუსეთიდან კავკავს მოდის, იქიდან დუშეთს, ჟინვანს, თიანეთს. მგზავრი მიდის ერწოს და სინჯავს არჩილ მეფის († 718 წელს) ეკლესიას სოფელ ნოდოკრას. ეს არჩილ მეფე აწამა ჭიჭუმ ასიმმა. მისმა ცოლმა თავმოკვეთილი მეფე მოასვენა, ნოდოკრას დამარხა და ზედ აღაგო დიდი და დიდებული საყდარი. აქაურობა უვაროვისას ვერანად დახვედრია. მაგიერად კარგს ყოფაში ყოფილან თამარ მეფე და ლაშარის ჯვარი ფშავის არაგვის სათაურს. თამარ მეფე და ლაშქრის ჯვარი უმთავრესი სალოცავებია ყველა აქაურ ქართველებისა. აქვთ ამათ საკუთარი ტყეები, საბალახე, სალუდე, საჭირო შენობები, ჭურჭელი და სხ. სოფელ გუდანში უვაროვისას მოუსმენია ფანდურზე დაკვრა ხევის ბერის ბაბო ჭინჭარაულისა. ზედაც დამღერაო, შენიშნავს მგზავრი, ჯერ შაქო ერეკლე მეფე და მერე საშუშპარო დაუკრაო.

ხევსურეთიდან უვაროვისა წასულა ქუთაისს და იქიდან სვანეთს, სადაც მისთვის დიდი დახმარება აღმოუჩენია ცნობილს თათარხან დადეშქელიანს...

გრაფინია უვაროვისა ხანში შესული ქალია და, მიუხედავად ამისა, იგი არ ზარობს მოვიდეს შორიდან ჩვენს ქვეყანაში, დაიაროს აქაურობა, აღწეროს და გააცნოს მკითხველებს ჩვენი ნაშთები, ჩვენი სამშობლოს ტურფა და შემკული მიდამოები. ჩვენ კი, არც მამაკაცს და არც დედაკაცს, ამისი ხალისი არა გვაქვს. საჭიროა კია კიდით-კიდემდე აიწეროს, დაიხატოს ყველა ჩვენი ნაშთები, ყველა ძველი საყდრები, კოშკები, ციხეები. მარტო მათი წარწერები „ქართლის ცხოვრების“ ბარი მასალაა. ეხლა ხანს ლაგოდეხის თავს გორაზე აღმოჩნდა კახეთის მეფის აღსართანის ციხე და მის კარის ქვაზე წარწერა, რომელშიაც ეს აღსართანი მოხსენებულია რანთა და კახთა მეფედ. რამდენია ამისთანა შესანიშნავი წარწერა სხვა ძეგლზე! ყველას, გიმეორებთ, შესწავლა უნდა. დრო შუსრავს ყოველივეს. დიდი თანხა კი მოუნდება ყველა ამ მარგალიტების შეკრებას, აღნუსხვას და შესწავლას. გრ. უვაროვისა ამ საქმეს ყოველ წლივ რამდენსამე ათასს მანათს ახმარებს. მას ეს ფული ხაზინიდამ ეძლევა.

მ. ჯანაშვილი.

კორესპონდენცია

ფოთი. მუშათა მოძრაობის ტალღამ აქაც იჩინა თავი და დახავსებულ გუბედ გარდაქცეული ცხოვრება აადელვა.

დღემდის ფოთელმა მუშებმაც დაამტკიცეს თავიანთი საამდროვო მომზადება და ბანი მისცეს საერთო ხმას. ე. ი. საქვეყნოდ განაცხადეს თანამედროვე ცხოვრების პირობათა უვარგისობა. ნავთსადგურის სანაოსნო საზოგადოების გაფიცული მუშები და ინტელიგენტი მოსამსახურენი (25 თებერვლამდე) არ მუშაობდნენ. დღეს კი ყველანი დაუბრუნდნენ თავიანთ საქმეებს, რადგან სანაოსნო საზოგადოების გამგეობამ რამოდენადმე დააკმაყოფილა მათი მოთხოვნილება; ე. ი. ინტელიგენტ მოსამსახურეებს მოუმატეს თვიურ ჯამაგირის 30 პროცენტი, ხოლო მუშებს 7 მან. და 25 კაპ. მაგიერ 10 მან. გაუხადეს 1,000 ფუთის დატვირთვასა ანუ გადმოტვირთვაში. ყველა კარგი გააკეთებინე, ისიც კარგაა, ნათქვამია. თორემ ორი-სამი მანეთით რა დააკლდება იმათ, ვინც მუშის ოფლით მილიონებს იძენს? ან კი, როდესაც ადმინისტრაცია ბუნებრივ მოთხოვნილებებს წესიერების დარღვევას ეძახის და წინ ეღობება ჯერ-ჯერობით მეტი რა გაკეთდებოდა?

გ. პელაშვილი.

—

ერევანი. თათართა და სომეხთა შორის მომხდარი უბედურება.

ეს მესამე დღეა, რაც ფრიად სამწუხარო და მასთან სამარცხვინო ამბები ხდება ერევანში. 20 თებერვალს, კვირა დილით, 10 საათზე ქალაქის სასწორთან, მოედანზე ორ თათარს ერმანეთთან ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთს რევოლვერი ესროლეს. ტყვია არც ერთს არ მოხვედრია. რევოლვერის ხმაზე გიჟსავით უსაქმოდ მოხეტიალე სომეხმა დაიწყო ყვირილი: არაქა, თავს უშველეთ, თათრები სომხებს ხოცავენო. ეს ყვირილი მოედო მთელ ქალაქს. დაიკეტა დუქნები; შეწყდა ქალაქში მხიარული მოძრაობა; მოსეირნე და ეკკლესიაში მყოფი ხალხი შეშინებული სახლისკენ მირბოდა. ქუჩაზე შეიარაღებული თათართა და სომეხთა ბრბოები გამოვიდა და ერთმანეთს დაერია. თავზარდამცემი სურათი იყო. აზღვავებული ბრბო ერთმანეთს ეზიდებოდა: შექნა თოფ-რევოლვერთა გრიალი. ხანჯლების ჭახუნში პრიალი და ტყვიათა ზუზუნი. ამას ეურთდებოდა მეომართა ყვირილი მომხრეთა გასამხნევებლად, დაჭრილთა კვნესა-წუხილი და ქალ-ბავშვთა წივილ-კივილი!

„ბრძოლის ველზე“ მოსულმა ჯარმა და პოლიციელებმა მალე გაჰფანტეს მეამბოხენი. აქვე მოვიდნენ გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, გენერალი თ-დი ორბელიანი, ქალაქის თავი, ერევნის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე, ამავე მაზრის უფროსი და ორივე მხრის სასულიერო წოდება და ინტელიგენცია. გაჩერდნენ ბულვართან და დაიწყეს ხალხთა დარიგება: „ძმებო, შევრიგდეთ, ვაპატიოთ ერთმანეთს ჩვენი უვიცი შეცოდება, დავგმოთ ამიერიდან ცუდი, ამ საქმის დამწყები კაცები. ამასთან ვიცოდეთ, ძმებო, რომ ჩვენ ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი არა გვაქვს-რა“. მოლები გაეჩქარნენ მეჩითებისაკენ და დაიწყეს ქადაგება და ხალხთა მოწოდება, რომლებმაც ასევე განიმეორეს და ამ ნაირად, როგორც იყო, შეწყნარდა სისხლის დენა. ხალხი დამშვიდდა და ჩვენც იმედი მოგვეცა, რომ ასეთი მხეცობა შემდეგში აღარ განმეორდებოდა. შუადღის 1 საათზე გაიღო დუქნები. ქალაქი ცოტათი გაცოცხლდა. როგორც ყველა ამბობს, 20 თებერვალს, მოკლულა 4 თათარი და 3 სომეხი და დაჭრილა 7 კაცი—2 თათარი და 5 სომეხი

21 თებერვალს კვლავ ასტყდა ერთი ვაი უშველებელი. იგრიალა ერბმად გაშმაგებულ მდინარესავით ხალხმა დილის ცხრის ნახევარზე, შექნა თოფ-რევოლვერთა გრიალი და ხანჯალთა პრიალი. ადმინისტრაციამ აფრინა იმ წამსვე ყაზახ რუსთა ჯარი, რომელნიც დაჭქროდნენ ქალაქში, მაგრამ ამათ ვერა უშველეს-რა გამგელებულ ხალხთა შეჩერებას, რადგანაც მომეტებული ნაწილი აჯანყებული ხალხისა თოფებს სახლის სახურავებიდამ და ფანჯრებიდან ისროდნენ. ამნაირად ხალხი მრავალი იხოცებოდა. ყველგან და ყოველ ქუჩაზე მოკლული თუ დაჭრილი კაცები ეყარნენ, რომლის აკრეფასაც პოლიცია შიშით ვერ კისრულობდა. მალე ქვეითა ჯარიც გამოიწვიეს, რომელიც გაშმაგებული მგელივით დარბოდა საძგრათ ხელში მომზადებულ ხიშტებიან თოფებით. რის ვაი-ვაგლახით მოჩხუბარნი დაჰფანტეს.

როგორც პოლიციელმა მითხრა, 21 თებერვალს მოუკლავთ და დაუჭრიათ 27 კაცი, ამაში 24 სომეხია, სამი რუსი, ერთიც ვითომდა ქართველიო.

22 თებერვალსაც იყო დილის 10 საათზე შეტაკება, მაგრამ მალე დაცხრა. გუბერნატორის და ვიცე-გუბერნატორის დასწრებით შეგროვდნენ ყველა ორივე მხრის სასულიერო პირნი და ინტელიგენტნი, გაემგზავრნენ მრავალ ხალხთა დასწრებით ჯერედ სომხების ეკკლესიებში და მერე მეჩეთებში სადაც ორივე ერმა ამ წარმომადგენელთა წინაშე დასდეს ფიცი, რომ დღეის იქით არ განიმეორებენ ასეთ სამარცხვინო ამბებს და ამ ფიცის შემდეგ შერიგებულნი ორივე მოძმენი შემოიარეს საეკკლესიო დროშებით და ხატებით მთელი ქალაქის ყველა ქუჩები, დასამტკიცებლად იმისა, რომ დღეის იქით არ განმეორდება ასეთი საზიზღარი და შეუნდობელი ცოდვები. შემდეგ ამისა თათრებმა გააღეს დუქნები, დაიწყო ვაჭრობა. ქალაქი უწინდებულად ამოძრავდა. ეტლები გამოვიდნენ ბირჟებზე, თათარი სომეხთან დადის და მუსაიფობს მომხდარ ამბებზე, საშინლად სწუხან თავის მხეცობაზე. ჩვენც ვისურვოთ, მკითხველო, რომ დღეის იქით დამყარებულიყოს, ჩვენ კავკასიელ ხალხთა შორის სრული და მტკიცე მძური კავშირი საერთო წარმატებისათვის!

მარტვილელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

28 თებერვალი.

ლონდონი. ტოკიოდან 27 თებერვალს ოფიციალური ცნობა მოვიდა, გუშინ სალამოს იაპონელების რაზმები ფეხდაფეხ მისდევდნენ რუსებს ყველა მხრიდან და დიდად დააზიანეს; 25 თებერვალს დილით დაიჭირეს 9 ვერსის მანძილი ხუნხეს ჩრდილოეთად და კიდევ წინ მიიწევდნენ. 26 თებერვალს ერთი იაპონელების რაზმი ჩრდილოეთისკენ გაემართა და დილითვე პუხეს ახლო რუსების რაზმს შეეყარა, რომელიც ჩრდილოეთისკენ ეშურებოდა. ხელისხელ შეებრძოლნენ ერთმანეთს, იაპონელები შემოეხვივნენ რუსების რაზმს და აიძულეს იარაღი დაეყარა.—ამჟამად მუკდენთან იაპონელები ებრძვიან ჩამორჩენილ და სრულიად დაქსაქსულ რუსებს, რომლებსაც ატყვევებენ. 26 თებერვლამდე ტყვეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. იაპონელების დანაკლისი 13 თებერვლიდან 27-მდე 41,222 კაცი უნდა იყოს. მუკდენთან იბრძოდა ორთავ მხარეს 850,000 მეომარი, ლიაოიანთან კი 460,000 იყო, შახეს ბრძოლაში 580,000. ამბობენ, ფუშუნში მყოფი იაპონელები ჩრდილოეთისკენ წავიდნენ და 7 ვერსის მანძილზე ლანნივო დაიჭირეს. ჩრდილოეთისკენ რუსები მაინც ეწინააღმდეგებიან იაპონელებს. — მანჯურიაში მომხდარმა ამბებმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება იქონია ინგლისის მწერლობაზე, რომ კუროპატკინის უკუქცევა ომის დასასრულად მიაჩნიათ, თუმცა კიდევ ყველა მხრიდან ირწმუნებიან, ვითომც ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკიც არ არისო. ერთად-ერთი „სპექტატორი“ აღნიშნავს საერთო აზრს, ვითომც რუსეთს მუკდენის ბრძოლის შემდეგ აღარ შეუძლიან ომი განაგრძოსო.

შანჰაი, 27 თებერვ. გუშინ იაპონელები პუხეს გადავიდნენ და რუსების დიდ ძალას წააწყდნენ, რომელიც უკუ იხევდა. იაპონელები გარშემოერტყნენ და მცირე ბრძოლის შემდეგ დაატყვევეს. იაპონელები ფუშუნის ჩრდილოეთად მიდიან. იმათ' დაიჭირეს ლანნივო. ბრძოლა არ შეწყვეტილა.

სინმინტინი. სინმინტინის რკინის გზა, ორთქლმავლები და ვაგონები იაპონელების ხელთ არის. იმათ ცენზურა დააწესეს და რამდენიმე უცხოელი დააპატიმრეს, მათ შორის „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტიც, რომელიც ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ გაანთავისუფლეს.

ლონდონი. „სტანდარტმა“ ოფიციალური ცნობა მიიღო, ის ხმები, ვითომც რუსების აგენტებმა იაპონიის იმპერატორის მოკვლა განიზრახეს, სრულიად უსაფუძვლოაო. აგრეთვე ტყუილია ის ამბავიც, ვითომ სოციალისტების გაზეთი «ხეიმუნ ციმბუნი» იაპონიის მთავრობამ მოსპო და სოციალისტების პარტიის მოთავენი დააპატიმრაო.

შანჰაი. ლესსარმა პროტესტი გამოუცხადა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს იმის გამო, რომ გენერალ მაის ჯარიც მონაწილეობას იღებდა ხუნხუზების რაზმებში რუსების წინააღმდეგ.

ტელინი, 27 თებერვალი (გაგრძელება გუშინდელი დეპეშისა). 24 თებერვალს დილით მუკდენიდან გამოვედი და მთავარ სარდალს გავყევ პოზიციების დასათვალიერებლად. 25 თებერვალს დეპეშა გამოვგზავნე, მაგრამ ვეღარ წამოვიდოდა. საღამოს გზა გადაგვიჭრეს ეტლებთან ერთად, რომლებიც თავზარდაცემული მრავლად მიისწრაფოდნენ ჩრდილოეთისკენ. ღამე უგზოუკვლოდ დავხეტიალებდით და ამიტომ დეპეშა ვეღარ გამოვგზავნე. 25 თებერვალს მრავალ ეტლებს, რომლებიც მანდარინის გზით ჩრდილოეთისკენ მიდიოდა, და რომელშიაც მთავარ-ბანაკის ეტლიც იყო, იაპონლების არტილერიამ სროლა დაუწყო, ჩვენი უმთავრესი ძალა შუაზე გააპო კიუსანთან. გაუწვრთნელ მეეტლეთ უმიზეზოდ შიშის ზარი დაატყდა და არეულობა მოხდა ეტლები გაეშურნენ, ერთი-ერთმანეთს ეჯახებოდნენ და აქცევდნენ. სოფლებს ტავსა და პუხას შუა რკინის გზამდე ეტლებმა სულ თავგზა აურიეს მიმავალ ქვეითი ჯარის რაზმებს, რომლებიც ორ საათამდე ვეღარ დაწყნარდნენ. როცა შეღამდა, ეტლებს ხელმეორედ დაატყდა შიშის ზარი, თუმცა ცოტა ხნობით. მეეტლები ეტლებს სტოვებდნენ და გზასა ჰკრავდნენ. მტვრის ბურუსი იდგა და ისე ბნელოდა, რომ გზა არა სჩანდა და იმის მიხვედრაც კი გაძნელდა, რა მხარეს უნდა წასულიყვნენ. მანდარინის გზაზე ეტლები მიჰქროლავდნენ და ჯარის კაცებს ჰქელავდნენ. როდესაც მეეტლები დაწყნარდნენ, მიტოვებულ ეტლებს დაუბრუნდნენ და ჯარიც ისევ რაზმებად დაეწყო.

ტელინი, 27 თებერვალი. ღამის 3 ს. 48 წ. ჯარები მოდიან და ტელინისპოზიციებზე ბინადრდებიან. იაპონელების რაზმები ნელნელა ჩრდილოეთისკენ მოდიან მუკდენიდან.

ჰონკონგ, 27 თებ. «სან. მორნ. პოსტი» იუწყება დიეგო სუარეციდან, 55 რუსეთის სამხედრო გემი 2 მარტს მადაგასკარის წყლებიდან აღმოსავლეთისკენ წავა.

ოკუს ლაშქარი, 26 თებ. (ფუზანზე). ოკუ თავის შტაბით ნაშუადღევს მუკდენში შევიდა. რუსების საავადმყოფოში 300 დაჭრილი იაპონელი იყო. როცა რუსებმა დაიხიეს, ჩინელებმა საავადმყოფოებსა და სხვა შენობებს ცეცხლი წაუკიდეს.

კუროკის ლაშქარი, 24 თებ. (ფუზანზე). მუკდენის ბრძოლა ლიაოიანის ბრძოლის გამეორებად მიაჩნიათ. კუროპატკინმა იაპონელები შეაჩერა, ვიდრე მისი ლაშქარი ჩრდილოეთისკენ იხევდა. რუსებს ძლიერი პოზიციები ეჭირათ და ეგონათ—ჩვენის სიმტკიცით იაპონელებს დავამსხვრევთო, მაგრამ ბოლოს უკან დახევა დაიწყეს შახედან. მდინარის ჩრდილოეთად რუსის ჯარი რომ სერებზე გადადიოდა, ზარბაზნებით იცავდნენ. ეხლა რუსები ხუნხეს ჩრდილოეთად არიან და კუროპატკინი, როგორც ეტყობა, განსაცდელს გადარჩა, იაპონელები გზას ვეღარ გადუჭრიან. რუსებმა ზარბაზნები და მარცხენა ფრთის ეტლები გადაარჩინეს. სამაგიეროდ იაპონელებმა მრავალი რუსი დაატყვევეს. სიმაგრეებში პატრონების [illegible] მიმავალ ჯარსაც მრავალი პატრონები [illegible]. თითქმის მთლად იაპონიის ჯარი გუშინ ხუნხეს გადავიდა, დღეს მუკდენის ჩრდილოეთად არის 10 მილის მანძილზე. კუროპატკინის ლაშქარი ორ აღმოსავლეთის ფრთედ გაჰყო, ფუშუნი დაიჭირა, სადაც 8 ბატალიონი და ბატარეა რუსების უკანა ჯარს შეებრძოლა. შუა ლაშქრის ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთად წავიდა, ფუშუნს იქით, მეორე ტელინზე მიდის. ორი დიდი ბრძოლა მოხდა. დღეს იარაღი დაჰყარა გარშემორტყმულმა რუსის რაზმმა და იაპონელებს დანებდა. რუსები სამხრეთისკენ (?) მიდიან რკინის გზის გასწვრივ, რკინის გზას და შოსსეს შუა, სიგანით ექვს მილზე მეტად ვერ გაშლილან. შოსსე ეხლა შეკრულია. ზარბაზნის სროლა მუკდენთან შესწყდა.

ტოკიო, 27 თებერვ. უმეტესად დაზიანდა ოკუს ლაშქარი—15,000 მეომარი დაჭრილ-დახოცილია გენერალი მაიდენა იმიბაში.

რუსებმა თან წაიყვანეს გენერალ-გუბერნატორი მუკდენში, რომელსაც იაპონიის მომხრეობას აბრალებენ.

ტოკიო, 17 თებ. მეხუთე ლაშქრის ნაწილმა რომელიც რუსების მარცხენა ფრთის პირდაპირ იყო, ერთ დღეში 40 მილი გაიარა და ამით გამარჯვებას ხელი შეუწყო.

ტიანძინი, 26 თებ. ჩინეთის რკინის გზაზე ორშაბათიდან შეჩერებულია მიმოსვლა ცაოტაიძს, ინკოუსა და სინმინტინს შუა, იმიტომ რომ იაპონელებს ასმხედრო მასლის გადატანა უნდათ.

პარიზი, 27 თებ. რუსეთის განცხადებამ, ომი უნდა გაგძელდესო, აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ზავის შესახებ მითქმა-მოთქმა მოსპო.

ლონდონი, 27 თებ. აღსანიშნველია რომ ინგლისის პრესსა ძალიან მტრულად უყურებს რუსეთის ფინანსებს და ეს ინგლისელ მწერალის ბრალია, რომელიც ეხლა პეტერბურგში ცხოვრობს. სხვათა შორის, „ტაიმსიც“ ამბობს, რუსეთი კოტრდებაო. ავტორი წერილისა ებრაელი ლიუსენ ვოლფია. ამ წერილების მიზანი ის არის, რომ რუსეთის სესხი საფრანგეთში არ განაღდეს.

ვალტერ ლონგი ირლანდიის საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **ალ. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის.

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

განცხადებანი

◆ ახლად გახსნილი ◆

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა

◆ „შ რ ო მ ა“ ◆

(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)

იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

სპობს სრულებით შეუწუხებლად ბებერას, კოჟრებს, ლაქებს, ხელის და ფეხის ოფლს ბრჩხილების ზრდას სისწორეს აძლევს ი. სილნიცკი, პუშკინის პასაჟი № 20.

(1—37—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 февраля 1905 г.

ელექტრონითმბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.